ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ევროპული უიქ ენდის მოლოდინში



გვ.9

### სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.11 | ლესტერი-მანჩესტერი | 3.1 | 3.3 | 2.3 |
| 28.11 | ვერდერი-ჰამბურგი | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 28.11 | ჰოფენჰაიმი-გლადბახი | 3.1 | 3.5 | 2.2 |
| 28.11 | რეიმსი-რენი | 2.8 | 3.1 | 2.62 |
| 29.11 | ლივერპული-სუონსი | 1.44 | 4.33 | 7.5 |
| 29.11 | ტოტენჰემი-ჩელსი | 2.45 | 3.25 | 2.9 |
| 29.11 | სევილია-ვალენსია | 1.8 | 3.75 | 4.2 |
| 29.11 | ხეტაფე-ვილიარეალი | 3.2 | 3.2 | 2.3 |
| 29.11 | ემპოლი-ლაციო | 3.0 | 3.25 | 2.37 |
| 29.11 | მარსელი-მონაკო | 2.0 | 3.4 | 3.8 |
| 29.11 | რომა-ატალანტა | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 30.11 | ნაპოლი-ინტერი | 1.73 | 3.8 | 4.6 |

შაბათი – კვირა, 28 – 29 ნოემბერი, 2015 №280 (6900) ფასი: 50 თეთრი

# რუსეთი თურქეთთან უვიზო რეჟიმს აჩერებს

2016 წლის 1-ლი იანვრიდან რუსეთი თურქეთთან უვიზო რეჟიმს შეაჩერებს.

ამის შესახებ 27 ნოემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა სირიელ კოლეგა ვალიდ მუალემთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– რუსეთის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, შეაჩეროს უვიზო რეჟიმი, რომელიც ამჟამად რუსეთსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მოქმედებს. ეს გადაწყვეტილება მომავალი წლის 1-ლი იანვრიდან შევა ძალაში, – განაცხადა ლავროვმა.

მისი თქმით, თურქეთმა არაერთხელ მოახდინა რუსეთის მოქალაქეთა დეპორტაცია რუსეთისადმი მტრულად განწყობილ ქვეყნებში.

– თურქეთიდან რუსეთის 200 მოქალაქე იქნა დეპორტირებული უკანონო საქმიანობის ბრალდებით. ჩვენ შორის არსებული შეთანხმების მიუხედავად, მხოლოდ 7 შემთხვევაში გაგვაფრთხილა თურქეთმა მოსალოდნელი დეპორტაციის შესახებ, – განაცხადა ლავროვმა.

მისი თქმით, ძირითად შემთხვევებში რუსეთის მოქალაქეებს, რუსეთის საზღვრის გვერდის ავლით, სხვა ქვეყნებში აძევებდნენ.

ვალიდ მუალემთან შეხვედრის დაწყებამდე ლავროვმა თურქეთის მიმართ მკაცრი განცხადება გააკეთა.

– თურქეთი დასაშვებ ფარგლებს გასცდა, – თქვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.



## „პუტინს საბრძოლო თვითმფრინავი ჩამოუგდეს და ბლუყუნით უპასუხა“

გვ.4

გიორგი თავდგირიძე: „პუტინი ახლა ერდოღანის წესებით თამაშობს“

## დავით დარჩიაშვილი: „ირაკლი შოთაძე ოპოზიციის დევნაში მონაწილეობდა“

გვ.4



„ქვეყანას ბიძინა ივანიშვილი მართავს და რომელ არჩევითობაზეა საუბარი?!“

## „ირაკლი შოთაძეს 6 წელი ხელს ვერავინ ახლებს“



გვ.2

„ვაპირებ პროკურატურის რეფორმირების გაგრძელებას, პროკურორების კვალიფიკაციის ამაღლებას და ასევე სამართლიანობის აღდგენის პროცესის მაქსიმალურად გაძლიერებას".



## ნარმანია თბილისელებისთვის 1.714 კუბოს ყიდულობს

გვ. 3

ISSN 1987-9385



გვ.3

## გია ხუხაშვილი: „უშიშროების საბჭოს იგნორირება პირადი მოტივებით ხდება“

„თურქეთი დასავლეთის ჭეშმარიტი სახე არ არის“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ირაკლი შოთაძეს 6 წელი ხელს ვერავინ ახლებს“

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს ახალი მთავარი პროკურორი ჰყავს. 27 ნოემბრის საკანონმდებლო ორგანომ 82 ხმით ამ პოსტზე ირაკლი შოთაძე დაამტკიცა. მის წინააღმდეგ 15 დეპუტატმა გაილაშქრა.**

მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი შოთაძე პროკურატურაში ნაციონალების მმართველობის ხანაში დასაქმდა, ყოფილმა ხელისუფლებამ მას მხარი არ დაუჭირა.

დეპუტატი აკაკი ბობოხიძე ეჭვობს, რომ ირაკლი შოთაძე უკანონო დავალებებს ასრულებდა.

— ხომ არ გაგირკვევიათ, როგორ მოხვდა თავის დროზე ირაკლი შოთაძე სამსახურში? მე ნამდვილად ვიცი, რომ ის მუშაობას თავისი კვალიფიკაციის შესაბამისად დაიწყებდა, მაგრამ მაშინდელი ოპოზიციის მიერ დასახელებული ნიშნებიდან, რომ აუცილებლად ნაციონალური მოძრაობის წევრი ან საშინელი ტიპი უნდა ყოფილიყო, აქედან მაინც რომელს აკმაყოფილებდა?! ასევე ხომ არ გაგირკვევიათ, თავის დროზე ბატონ შოთაძეს მიუღია თუ არა რაიმე უკანონო დავალება მაშინდელი ხელმძღვანელების მხრიდან, რადგან ჩვენი ხელისუფლების დროს რიგითი გამომძიებელი და რიგითი თანამშრომელი არ იყო და იყო ერთ-ერთი საკვანძო თანამდებობის პირი. შეუსრულებია თუ არა მას რაიმე უკანონო დავალება იმ სისხლიან 9-წლიან პერიოდში?! — იკითხა აკაკი ბობოხიძემ.

ახალი მთავარი პროკურორისგან დიდ სასწაულებს არ ელოდება ნაცმოძრაობის აღმასრულებელი მდივანი სერგო რატიანი. ის ეჭვობს, რომ შოთაძე რაიმე გახმაურებულ საქმეებს გამოიძიებს.

— უმრავლესობამ ისეთი მთავარი პროკურორი აირჩია დღეს, რომელიც სისტემურ კორუფციას და კრიმინალს ვერ დაუპირისპირდება, — აღნიშნავს რატიანი.

მისივე თქმით, ახალი მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე ვერ დაუპირისპირდება და ვერ გამოიძიებს იმ დანაშაულებებს, რომლებიც 2012 წლიდან მოხდა.

მნიშვნელოვანი საქმეების გამოძიების იმედი არც დეპუტატ ირმა ნადირაშვილს აქვს. მას არც უკვე ნაპროკურორალ გიორგი ბადაშვილის საქმიანობა მოსწონს. ამბობს, რომ ამ დროს საგამოძიებო უწყება ისე გაიხსნა, რომ იქაურ ამბებს მთავარ პროკურორზე ადრე ეკა ბესელია გებულობდა.



დეპუტატმა ის საქმეებიც ჩამოთვალა, რომელთა გამოძიებასაც შოთაძის პროკურორობის პერიოდში ვერ ველირსებით.

— სამწუხაროა, რომ თქვენ ივანიშვილი ოპონენტების წინააღმდეგ პოლიტიკურ იარაღად გიყენებთ. თქვენი მმართველობისას ვერასოდეს გავიგებთ, რატომ სარგებლობდა იზორიას ძმა „ნარუშილოვკებით“, რამდენი ტელეფონია ჩართული, როგორ მიიღო უჩა მამაცაშვილმა ერთ ლარად ქონება, როგორ ააფეთქა ივანიშვილმა საყდრისი, ვინ ატვირთა ვიდეოები უკრაინულ საიტებზე და ვინ არის ჰაკიმ ფაშა, — მიმართა შოთაძეს ნადირაშვილმა.

ნაციონალებს არც მთავარი პროკურორის დამტკიცებისას დავიწყნიათ რუსეთის ჯაშუშები. ნადირაშვილის თქმით, შოთაძე იმიტომ შეარჩიეს პროკურორად, რომ ის ჯაშუშების თემას არ გამოიძიებს.

— ბესელიამ ბრძანა, ბადაშვილის დროს პროკურატურა ძალიან გაიხსნაო, მართალია. უწყება იმდენად გაიხსნა, რომ ხანდახან ქალბატონმა ეკამ უფრო ადრე იცოდა, რა მოხდებოდა, ვიდრე ბადაშვილმა და შოთაძემ. უმრავლესობა გეუბნებათ, რომ თქვენ მათ პოლიტიკურ გემოვნებაში ჯდებით, ეს არ მიკვირს, რადგან თქვენი ამ თანამდებობაზე ყოფნა გარანტიაა ბესელიასთვის, რომ არ გამოიძიებთ იმას, როგორ მოხვდნენ ყაჩაღები და რუსეთის ჯაშუშები პოლიტპატიმართა სიაში და რა თანხები აქვს აღებული ამაში ქალბატონ ბესელიას, — არ შეეშვა მთავარ პროკურორს დეპუტატი.

* * *

ნაციონალებისგან განსხვავებით, ირაკლი შოთაძეზე დიდ იმედებს ამყარებენ მეოცნებეები.

ირაკლი შოთაძე 6 წლის ვადით არის არჩეული და, როგორც ეროვნული ფორუმის ლიდერი გუბაზ სანიკიძე ამბობს, მას დროის ამ მონაკვეთში ხელს ვერავინ ახლებს.

მისი თქმით, მთავარი პროკურორის საქმიანობა გათვლილი უნდა იყოს პროკურატურის რეფორმაზე.

სანიკიძე მიიჩნევს, რომ პროკურატურას ტანჯავს კვალიფიციური კადრების სიმცირე.

— პროკურატურა ყოველთვის იყო მმართველი გუნდის დანამატი. პარლამენტის მიერ პროკურორის არჩევა ძირფესვიანად ცვლის ვითარებას და რაც პერსონალიის განხილვას ახლავს, ეს მნიშვნელოვანია. 6 წელი პროკურორს ხმას ვერავინ გასცემს უბატონოდ და თავისუფლების ხარისხი ძალიან მაღალია. ირაკლის დიდი ხანია არ ვიცნობ, თუმცა საფუძველი მაქვს იმისა, რომ ამ ახალგაზრდა კაცმა ცვლილებები უნდა განახორციელოს და მისი ახალგაზრდული ასაკი მომგებიანია, — განაცხადა სანიკიძემ.

მისი თქმით, შოთაძის საქმიანობა გათვლილი უნდა იყოს პროკურატურის რეფორმაზე. რეფორმის ამბავში მთავარი ფორუმელი მთავარ პროკურორს მხარდაჭერას დაჰპირდა.

— პროკურატურას ტანჯავს კვალიფიციური კადრების სიმცირე. ბატონო ირაკლი, იმას უნდა მივაღწიოთ, რომ 6 წლის თავზე კვალიფიციური პროკურორები გვყავდეს. თქვენ შეგიძლიათ პარლამენტის იმედი გქონდეთ პროკურატურის რეფორმაში. ქართულ სამართალს სერიოზული რეფორმა და სტიმული სჭირდება, — აღნიშნა დეპუტატმა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე მთავარი პროკურორის პოსტზე ირაკლი შოთაძის დანიშვნას მიესალმება და აცხადებს, რომ უნდა დასრულდეს ის დრო, როდესაც პროკურატურა პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

კობახიძე დარწმუნებულია, რომ ირაკლი შოთაძე პროკურატურაში თავის საქმიანობას წარმატებით გაართმევს თავს და საჭირო რეფორმებს განახორციელებს.

— ქვეყანაში უნდა დასრულდეს ის დრო, როდესაც პროკურორი პოლიტიკური ძალის ხელში პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტს წარმოადგენდა. ჩვენ ამის არაერთი მაგალითი ვიცით. შოთაძე არის ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც ძალიან მოტივირებულია, ძალიან მონდომებულია, რომ პროკურატურაში გაგრძელდეს რეფორმები და მოზიდულ იქნას კვალიფიციური კადრები, რომლებიც იმ ამოცანებს გაართმევენ თავს, რაც ამ უწყების წინაშეა.

რა თქმა უნდა, ათასობით საჩივარია, რომლებსაც დასაბუთებული პასუხი უნდა გაეცეს. ყველა ის საქმე უნდა დასრულდეს, რომლებზეც ჯერ არ არის საბოლოო განაჩენები მიღებული, — განაცხადა კობახიძემ.

ირაკლი შოთაძეზე დიდ იმედებს ამყარებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც. იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მსგავსად, ის მიიჩნევს, რომ ახალი მთავარი პროკურორი მის ყველა წინამორბედზე უკეთესი იქნება.

— შოთაძემ კომიტეტზე გამოსვლისას ხაზი გაუსვა იმას, რომ იგი რეფორმებს გააგრძელებს და არ შეწყვეტს. დარწმუნებული ვარ, მას ექნება უმრავლესობის მხარდაჭერა და უმრავლესობა აიღებს ამ პასუხისმგებლობას თავის თავზე.

როგორ შეიძლება კანონი იყოს უკეთესი, როგორ შეიძლება პროცესი იყოს უკეთესი, როგორ შეიძლება უკეთესი კანდიდატები იყვნენ, ეს ყველაფერი მომავლის საქმეა და ჩვენ სასურველი იდეალისკენ სიარულს არ უნდა გადავაყოლოთ საქმე, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

* * *

ნაციონალების გმობისა და შეჩვენების მიუხედავად, უმრავლესობამ შოთაძე მაინც აკურთხა მთავარ პროკურორად.

პარლამენტის მიერ გამოცხადებულმა ნდობამ ახალ მთავარ პროკურორს გული აუჩუყა. მან დეპუტატებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და პირობა დადო, კარგი პროკურორი ვიქნებიო.

როგორც შოთაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, აპირებს პროკურატურაში რეფორმების გაგრძელებას და სამართლიანობის აღდგენის პროცესის გაძლიერებას.

— მადლობა მინდა გადავუხადო პარლამენტის იმ წევრებს, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეს. ვაპირებ პროკურატურის რეფორმირების გაგრძელებას, პროკურორების კვალიფიკაციის ამაღლებას და ასევე სამართლიანობის აღდგენის პროცესის მაქსიმალურად გაძლიერებას, — განაცხადა შოთაძემ.

## სად წავა გიორგი ბადაშვილი?



* * *

ვიდრე შოთაძე მილოცვებს იღებდა, ერი იმაზე მსჯელობდა, სად წავა სამუშაოდ მისი წინამორბედი გიორგი ბადაშვილი.

„პირველი რადიოს“ ინფორმაციით, გიორგი ბადაშვილი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის პოსტზე გადაინაცვლებს და ამ თანამდებობაზე ლერი ბარნაბიშვილს ჩაანაცვლებს.

კულუარული ინფორმაციით, ასეთი გადაადგილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში ყოფილი მთავარი პროკურორი, ოთარ ფარცხალაძე მონაწილეობდა. გავრცელებული ინფორმაციით, ბადაშვილი, ისევე, როგორც შოთაძე, ფარცხალაძის „დაჯგუფების წევრებად“ ითვლებიან.

ირაკლი შოთაძემ საპარლამენტო მოსმენაზე ფარცხალაძესთან მეგობრობა არ უარყო. როგორც ცნობილია, ფარცხალაძეს ახლო ურთიერთობა აქვს ყოფილი პრემიერის ვაჟთან, ბერა ივანიშვილთან.

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გიორგი ბადაშვილი პროკურატურიდან ფინანსთა სამინისტროში გადაინაცვლებს და საგამოძიებო სამსახურის უფროსის პოსტს დაიკავებს.

— თუ რამე იქნება საკადრო გადაწყვეტილებების შესახებ, სჯობს, რომ ფინანსთა მინისტრისგან მოისმინოთ და არა — სააგენტოებისგან, — განაცხადა ხადურმა ჟურნალისტებთან საუბარში.

ბადაშვილის სამომავლო გეგმების შესახებ არაფერი იცის ირაკლი შოთაძემ.

— მე გიორგი ბადაშვილისგან ვიცი, რომ ის არ აპირებს პროკურატურაში მუშაობის გაგრძელებას. ჩემთვის ეს სრულიად გასაგებია, ვინაიდან, როდესაც პიროვნება უწყების პირველი პირი იყო, ის მუშაობას იქ ვერ გააგრძელებს. მისი გადაწყვეტილება მისაღებია, თუმცა სად გააგრძელებს ბადაშვილი მუშაობას, ეს მისი არჩევანი იქნება, — განაცხადა შოთაძემ.

# ტარიელ ნაკაიძე: „საქართველო ჩვენი სამშობლოა და მუსლიმი თემი მის გაძლიერებას ისახავს მიზნად“



— მთავარია, სახელმწიფომ თავად არ შეუწყოს ხელი მუსლიმი თემის მარგინალიზაციას და მუსლიმებს მისცეს საკუთარი წინამძღვრის არჩევის, მეჩეთის თავისუფალ გარემოში აშენებისა და ისლამის სრულფასოვანი განათლების მიღების უფლება, — ასე გამოეხმაურა რელიგიური ორგანიზაციის „ქართველ მუსლიმთა კავშირის“ ხელმძღვანელი ტარიელ ნაკაიძე რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელის განცხადებას.

**ტარიელ ნაკაიძე:**

— მსურს გამოვეხმაურო რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელის, ბატონ ზაზა ვაშაყმაძის განცხადებას, რომელიც რელიგიურ ორგანიზაცია „ქართველ მუსლიმთა კავშირისა“ და მისი ხელმძღვანელის დისკრიმინაციას ახდენს და მას ბრალს სდებს რადიკალიზაციის წახალისებაში.

მუსლიმი თემის წინაშე მდგარი მწვავე გამოწვევების, მათ შორის, მუსლიმების უფლებების დარღვევების სერიოზული შემთხვევების გასაჯაროება და მათზე დისკუსია არ შეიძლება საჯარო მოხელის მიერ განხილულ იქნას, როგორც სიტუაციის ესკალაციის საფრთხე.

მსგავსი შეფასება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფორმაა და აქტიური და კრიტიკული ორგანიზაციების საქმიანობის მარგინალიზების მცდელობად შეიძლება შეფადეს. რაც შეეხება ზაზა ვაშაყმაძის მიერ წარმოდგენილ კონკრეტულ შეფასებებს, ჩვენი ორგანიზაციის შეფასებით, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსთვის 85 მეჩეთის გადაცემის პოლიტიკა არ შეიძლება შეფასდეს, როგორც პოზიტიური ნაბიჯი.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მეჩეთები სამმართველოს დროებით სარგებლობის უფლებით გადაეცა და არა საკუთრების უფლებით.

სახელმწიფომ რეალურად მუსლიმ თემს წაართვა 85 მეჩეთი, რადგან ისინი გადასცა მისივე დაფუძნებულ და კონტროლის ქვეშ მყოფ სამმართველოს, რომლის დამფუძნებლები, ადმინისტრაცია და პოლიტიკა მუსლიმი თემის უმრავლესობისთვის მისაღები არ არის.

სამწუხაროა, რომ სააგენტოს ხელმძღვანელი შეგნებულად გვერდს უვლის მუსლიმი თემის წინაშე მდგარი პრობლემების საჯარო განხილვას, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მას არ სურს მისი მოგვარება.

გვინდა განვაცხადოთ, რომ საქართველო ჩვენი სამშობლოა და მუსლიმი თემი სწორედ მის განვითარებასა და გაძლიერებას ისახავს მიზნად.

როგორც ცნობილია, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე სააგენტოს მიმართ გამოთქმულ ბოლოდროინდელ ბრალდებებს გამოეხმაურა.

როგორც ზაზა ვაშაყმაძემ განაცხადა, რელიგიური ორგანიზაცია „ქართველ მუსლიმთა კავშირის“ თავმჯდომარის ტარიელ ნაკაიძის მხრიდან კეთდება დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო განცხადებები.

მისივე თქმით, ისმის ბრალდებები, „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით გავრცელებული ვიდეო თითქოსდა რელიგიის სააგენტოს არასათანადოდ განხორციელებულ სამუშაოს უკავშირდება

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ხუხაშვილი: „უშიშროების საბჭოს იგნორირება პირადი მოტივებით ხდება“

## „თურქეთი დასავლეთის ჭეშმარიტი სახე არ არის“

ნონა ცაბაძე

**ოპონენტები ხელისუფლებას ხშირად საყვედურობენ, რომ ის პასიურობს იმ პროცესებში, რომლებიც დღეს მსოფლიოში ვითარდება.**

ექსპერტი გია ხუხაშვილი კი მიიჩნევს, რომ ზედმეტი აქტიურობა უფრო საზიანო იქნება, ვიდრე სარგებლობის მომტანი.

– ჩვენ, სამწუხაროდ, უნდა ვადევნოთ თვალი, როგორ ვითარდება მოვლენები და უნდა ვეცადოთ, რომ ის ირიბი რისკები, რომლებიც საქართველოს მიმართ შეიძლება გამოჩნდეს, სხვადასხვა მეთოდით დავაზღვიოთ.

***– ანუ ხელისუფლების პოლიტიკა გამართლებულია?***

– სამწუხაროდ, ჩვენი შესაძლებლობები ამას ვერ სცდება და ამ სიტუაციაში ხელისუფლების ტონალობა სწორია, თუმცა უნდა კეთდებოდეს შესაბამისი ანალიზი და ამ საკითხში ცოტა სკეპტიკურად ვარ განწყობილი.

***– რატომ?***

– რადგან ეჭვი მეპარება, რომ შესაბამისი ანალიზი კეთდება.

***– ანალიზი რასთან დაკავშირებით?***

– დიდ, გლობალურ საფრთხეებთან დაკავშირებით. ხელისუფლება შემოიფარგლება მხოლოდ ოპერატიული მუშაობით ანუ საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლით, რაღაც კონკრეტული ტერორისტებით. მე ამ მხრივ არც მაქვს ინფორმაცია და ვერც გავაკრიტიკებ ხელისუფლებას. იმედი მაქვს, ამ მხრივ ის ყველაფერს აკეთებს, მაგრამ, საქმე ის გახლავთ, რომ ეს მხოლოდ უბრალოდ რისკი არ არის.

***– რას გულისხმობთ?***

– რუსეთ-თურქეთის ესკალაციის ფონზე ძალიან სერიოზული რისკები ჩნდება, როგორც პოლიტიკური, ისე პოლიტიკურ-დიპლომატიური და ეკონომიკური.

***ექსპერტისთვის ბუნდოვანია უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ფუნქცია.***

– მისი შემადგენლობაც დიდ იმედებს ვერ აჩენს. მე არ მაქვს პრეტენზიები არც ჯანელიძესთან, არც ჭიკაიძესთან, როგორც ოპერატიულ მუშაკებთან, მაგრამ ისინი არ არიან დიდი სტრატეგები და სტრატეგიული უსაფრთხოების საკითხები არ არის მათი კომპეტენცია, – აცხადებს გია ხუხაშვილი.

***– რატომ, რას ერჩით?***

– ეს სცდება მათ კომპეტენციას! შესაბამისად, როდესაც ასეთი აგდებული დამოკიდებულებაა უშიშროების საბჭოს ფორმატთან და მთავრობა ცდილობს, ჩაიკეტოს ამ ფორმატში, ეს სახელმწიფოებრივად და პროფესიულადაც არასწორია. ეს თვითონ მთავრობასა და ხელისუფლებას უქმნის დამატებით საფრთხეებს.



***– უშიშროების საბჭოს რომ უკეთებენ იგნორირებას?***

– უშიშროების საბჭო აკვიატება კი არ არის, ეს არის კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრული ორგანო და მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია გახლავთ ის, რომ კრიზისების პრევენციის პერიოდში კოორდინაცია მოხდეს. მასში ჩართულია ხელისუფლების ყველა შტო. ხელისუფლების კოორდინაცია, ერთობლივი ანალიზი და შეთანხმებული მოქმედებები ასეთ სიტუაციებში ძალიან მნიშვნელოვანია.

***– უშიშროების საბჭოს სხდომებს პრეზიდენტის ფაქტორიდან გამომდინარე უკეთებს მთავრობა იგნორირებას თუ ეს გამოუცდელობის ბრალია?***

– ეს ზედაპირული დამოკიდებულება სერიოზულ ხარვეზებს აჩვენებს ქვეყნის მენეჯმენტის საქმეში. უშიშროების საბჭოს იგნორირება იმიტომ კი არ ხდება, რომ ის საჭირო არ არის სახელმწიფოებრივად, არამედ პირადი დამოკიდებულებების გამო. ასეთი ტონია მიღებული ამ წრეში, რომ პრეზიდენტის იგნორირება უნდა მოხდეს.

***– ანუ აქ პირადი მოტივებია?***

– დიახ, პირადი და, როდესაც პირადი მოტივები დგება უფრო მაღლა, ვიდრე სახელმწიფო ინტერესი, ეს სახიფათოა. ჩვენ სერიოზული რისკების წინაშე ვდგავართ.

***– რა სახის შეიძლება იყოს ეს რისკები?***

– მე არ მინდა სიტუაციის ძალიან დრამატიზება, მაქვს არგუმენტები, მაგრამ ჯერჯერობით არ მინდა ფრჩხილების გახსნა, თუნდაც იმავე საზოგადოების განწყობების თვალსაზრისით.

თუ ასეთი პოზიციონირება მოხდა საგარეო პოლიტიკაში – თურქეთი თუ რუსეთი, აქ უკვე საზოგადოების განწყობების რისკები დგება. ვინმე ფიქრობს დღეს ამაზე ჩვენს ხელისუფლებაში?!

***– კონკრეტულად რაზე?***

– როგორ მოხდეს ამ ყველაფრის ახსნა საზოგადოებისთვის, რომ საფრთხე არ შეექმნას უფრო გრძელვადიან სტრატეგიულ საკითხებს. სისტემურად ხელისუფლებაში საგარეო პოლიტიკას არავინ უყურებს, მთელ სურათს არავინ ხედავს.

გარდა ამისა, ამ ესკალაციის ფონზე მოსალოდნელია ეკონომიკური ძვრები, მათ შორის, საქართველოს მიმართაც.

***– დადებითი თუ უარყოფითი კუთხით?***

– როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური და ამასაც შესაბამისი ანალიზი სჭირდება. სადაც პოზიტიურია, იმას გაძლიერება უნდა და სადაც საფრთხეები ჩნდება, იმას სჭირდება გარკვეული პრევენციული მოქმედებები. მე ვერ ვნახე ფორმატი, სადაც თეორიულადაც კი ეს საკითხები შეიძლებოდა განხილულიყო. აი, ასეთ ვითარებაში ვართ.

***– ხელისუფლებას ასევე საყვედურობენ, რომ გამოავლინოს საკუთარი პოზიცია თურქეთ-რუსეთის დაპირისპირებასთან დაკავშირებით.***

– თურქეთ-რუსეთს შორის ჭიდილისას ხელისუფლებამ, შესაძლოა, საკუთარი პოზიცია არც გამოავლინოს, მაგრამ აქ სულ სხვა საფრთხე ჩნდება.

თუ თურქეთი იქნა ასოცირებული მთლიანად დასავლეთთან, ამ შემთხვევაში ნეგატიური ძვრები მოხდება საზოგადოებრივ განწყობებში. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, თურქეთში არც დემოკრატიის მხრივ არის მაინცდამაინც კარგი სიტუაცია და არც – ფასეულობების მხრივ.

დღეს მთავარია, ჩვენს საზოგადოებას არ გაუჩნდეს განცდა, რომ რაც ხდება თურქეთში, ეს არის დასავლეთი! ამან, შესაძლოა, სახიფათო ტენდენციები წარმოშვას განწყობების თვალსაზრისით.

***– რა უნდა გაკეთდეს ამის თავიდან ასაცილებლად?***

– ამ ყველაფერს სჭირდება საზოგადოებაში სერიოზული მუშაობა, რომ თურქეთი არ არის სანიმუშო ქვეყანა დასავლეთის წარმოსაჩენად როგორც ფასეულობების, ასევე უსაფრთხოების მიმართულებით.

მე ვნახე ინტერაქტივები და პრორუსული განწყობები ბევრად აჭარბებდა თურქულ განწყობებს. ვეჭვობ, რომ მთლიანად საზოგადოებაშიც შეიძლება, ასეთი განწყობები იყოს და ეს სერიოზული საფრთხეა. ავუხსნათ საზოგადოებას, რომ თურქეთი არ არის დასავლეთი!



***– ჩვენი ქვეყნისადმი ისლამური სახელმწიფოს ინტერესზე რას იტყვით? ამბობან, რომ აუცილებლად შეეცდებიან კავკასიური დერეფნის ხელში ჩაგდებას.***

– ასეთი თეორიული საფრთხე არსებობს და საქართველოს ისტორიაში ყოფილა პერიოდები, როდესაც პანკისის ხეობასთან დაკავშირებით სერიოზული რისკები ჩნდებოდა. აქ ორი სცენარია.

***– რომელ სცენარებს გულისხმობთ?***

– ერთია, რომ რეალური მცდელობა იყოს ისლამური სახელმწიფოს მხრიდან, რაღაც არხი გაიჭრას და ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს გავლით რაღაც ქმედებები ჩაიდინონ, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთი ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი სამიზნე გახდა. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ამას ისლამური სახელმწიფო ვერ მოახერხებს, საქართველო ძალიან სპეციფიკური ქვეყანაა, აქ ყველა ყველას იცნობს და ასეთი ტიპის სისტემური მოძრაობები ძალიან რთულია.

ეს ასე რომც არ მოხდეს, პოლიტიკური კონტექსტი არის ისეთი, რომ რუსეთმა შეიძლება თვითონ მოახდინოს პროვოცირება, თვითონ შექმნას ხელოვნური დაძაბულობის კერა, რომ მერე ამაზე მოახდინოს მკაცრი რეაგირება.

აქ არის ყველაზე დიდი საფრთხე ჩადებული, რაზეც სპეცსამსახურები სერიოზულად უნდა მუშაობდნენ.

# ნარმანია თბილისელებისთვის 1.714 კუბოს ყიდულობს

შორენა მარსაგიშვილი

**ვისთვის ყიდულობს დავით ნარმანია კუბოებს, რაში სჭირდება დედაქალაქს ძვირადღირებული ტუალეტი, რატომ იზრდიან მერიის და გამგეობების თანამშრომლები ხელფასებს, რა დირექტივები მიიღეს საკრებულოს დეპუტატებმა მერთან დაკავშირებით? – ამის შესახებ „ახალ თაობას" მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის" ხელმძღვანელი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.**

**ლევან ხაბეიშვილი:**

– დავით ნარმანია ცოცხალი ადამიანებისთვის 1.714 კუბოს ყიდულობს და ამისთვის ბიუჯეტში თითქმის ნახევარი მილიონი აქვთ გამოყოფილი. ამ დროს მერიაში სოციალურად დაუცველი ადამიანი რომ მივიდეს და დახმარება მოითხოვოს, ეტყვიან, ბიუჯეტში ფული არ არის და ვერ დაგეხმარებითო. ცოცხალ ადამიანებს 200-300 ლარზე, წამლებსა და ოპერაციების დაფინანსებაზე უარს ეუბნებიან, თანხა ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არისო, სამაგიეროდ ჰპირდებიან, რომ ბიუჯეტში კუბოებისთვის ფული აქვთ გამოყოფილი და თუ მოკვდებიან, დამარხავენ.



**ლევან ხაბეიშვილი: „დავით ნარმანიას ვითარების გამოსასწორებლად დრო მისცეს“**

ცოცხალი ადამიანებისთვის კუბოების შეძენა, ეს ჯერ თბილისელების შეურაცხყოფაა, მერე კიდევ სრული სილენჩე და სრული სიდებილეა. ყველაზე ამაზრზენი სატენდერო დოკუმენტაცია გახლავთ. აქ წერია, რომ 19 კუბოს ერთ წლამდე ასაკის ჩვილი ბავშვისთვის ყიდულობენ. რაღაცა ოდენობას ყიდულობენ 1-დან 7 წლამდე ბავშვებისთვის და ა.შ. მოკლედ, სრული მარაზმია. გასაგებია, რომ ტენდერს აცხადებ, მაგრამ ასეთ სისულელეებს როგორ წერენ. მე პირადად არ გამიგია მსოფლიოში არც ერთი მერი, რომელიც წინასწარ ყიდულობს კუბოებს ცოცხალი ადამიანებისთვის. ნარმანია ისეთი მოხერხებულია, „ვენოკებიც“ შეკვეთილი ექნება ჩვენთვის.

***– 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, პრემიები და ხელფასები იზრდება. ამაზე რას გვეტყვით?***

– საკრებულოში შეტანილი ბიუჯეტის პირველადი ვარიანტით დედაქალაქის მერიის მაღალჩინოსნებს კიდევ უფრო მოემატებათ ხელფასები და დანამატები. გაზრდილია საპრემიო ფონდიც. მაინტერესებს, რაში უნდა აიღონ პრემიები და დანამატები, როცა არაფერი არ გაუკეთებიათ და ქალაქს კარგად ეტყობა მათი „ნამუშევარი“. ამ ფონზე ხელფასების გაზრდა არის უნამუსობა.

***– ჩუღურეთის გამგებელი ასე არ ფიქრობს, რომ გაკვირვება არ უნდა გამოვხატოთ, თუ ისინი პრემიებს აიღებენ.***

– ეს განცხადება ამ ხელისუფლების არაადეკვატურობის კიდევ ერთი დადასტურებაა. მერე რა, რომ ბარათაშვილის ხიდი 4 თვეა, რაც დაკეტილია, მერე რა, რომ გლდანის ხიდი 1,5 თვე დაკეტილია, მერე რა, რომ თბილისის ყველა უბანი ორმოებით გადაივსო, მერე რა, რომ ასეთ სისულელეებს ლაპარაკობენ, მათ პრემიები უნდა აიღონ. თან ისეთი თავხედები არიან, მოგვიწოდებენ, ეს ამბავი არც კი გავიკვირვოთ.

პრემიები და ხელფასები იზრდება, სამაგიეროდ, თბილისის რაიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება მცირდება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო გადაითხრება ქალაქი და კიდევ უფრო დიდი ხნით მოგვიწევს საცობებში დგომა.

***– საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობისთვის 100.000 ლარია გამოყოფილიო. საზოგადოების დიდი ნაწილი ამას სერიოზულად არც კი აღიქვამს.***

– ეს ხომ საერთოდ ცალკე თემაა. ამას დაუმატეთ ის, რომ მერია მილიონი ლარის ღირებულების ჯებირების ყიდვას აპირებს.

***– მილიონი ლარის ჯებირი რად უნდათ?***

– ალბათ, ქალაქს შემოარტყამენ ამ ჯებირს, ერთ მხარეს თავად იქნებიან, მეორე მხარეს თბილისელები. რაც შეეხება 100.000-იან საზოგადოებრივ ტუალეტს, ამასთან დაკავშირებით საკრებულოს ერთ-ერთმა დეპუტატმა ძალიან კარგი კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, 50.000 ლარად 2 ოთახიანი ბინის ყიდვა შეიძლება და არამცთუ საზოგადოებრივი ტუალეტის გაკეთება. იმდენად არაადეკვატურები არიან, რომ გულწრფელად მეცოდებიან დედაქალაქის მერიც და მისი მთავრობაც.

***– საკრებულოს მხრიდან ბიუ-***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# დავით დარჩიაშვილი: „ირაკლი შოთაძე ოპოზიციის დევნაში მონაწილეობდა“

ნათია ხურცილავა

**ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ ირაკლი შოთაძეს ნაციონალურმა მოძრაობამ მხარი არ დაუჭირა იმის გამო, რომ შოთაძე ოპოზიციის მიმართ წამოწყებულ პროცესებში პირადად მონაწილეობს.**



— ჩვენს კითხვებზე ირაკლი შოთაძის მიერ გაცემული პასუხები დემაგოგიური იყო, — ამბობს დავით დარჩიაშვილი.

***— კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

— როდესაც ეკითხები, როგორ შეიძლება, ერთ შემთხვევაში პიჯაკის დაზიანების ბრალდებით მომიტინგეები სამი თვე ციხეში გყავდეს, მეორე შემთხვევაში კი ფიზიკურ ანგარიშსწორებაში მონაწილეები 100-100-ლარიანი ჯარიმით გაათავისუფლო, ის გვპასუხობს: სისხლის სამართლის ესა და ეს მუხლი ითვალისწინებს ამას და ამასო.

***— ეს რას ნიშნავს?***

— ეს იმას ნიშნავს, რომ ის ყველანაირად გაურბის ამ საკითხზე პასუხის გაცემას. სამი წელია, ის პირადად მონაწილეობს იმ პოლიტიკური დავალების შესრულებაში, რაც გამოიხატება პოლიტიკური ოპონენტების დევნაში. ამ დევნაში სამართლიანი სასამართლოს უფლება ირღვევა. არადა, დემოკრატიულობის პრეტენზიის მქონე ადამიანებს ეს უნდა აწუხებდეთ.

დეპუტატი ამბობს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაზე საუბარია საერთაშორისო დოკუმენტებში, მათ შორის ეუთოს შეფასებებში.

— თუ როგორ მიმდინარეობს პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ აღძრული სასამართლო საქმეების განხილვა, ამაზეა საუბარი საერთაშორისო დოკუმენტებში, რაშიც ეს ადამიანი პირადად მონაწილეობს, — აღნიშნავს დავით დარჩიაშვილი.

***— სასამართლო პროცესებს ხომ ვერ შეაჩერებენ?***

— ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური ინსტრუმენტი რეპრესიების განხორციელებისა სახელითა და გვარით — ირაკლი შოთაძე. როგორ შეიძლება, ამ ფონზე მას ჩვენ მხარი დავუჭიროთ. ბრალდებები, რომ ჩვენ ყველას სისხლში გვაქვს ხელები გასვრილი, სრულიად დაუსაბუთებლად რჩება. კონკრეტულ საქმეებზე არ არის მკაფიო პასუხები. მიუხედავად ამისა, ამაზე უმრავლესობის წარმომადგენლები მაინც ყვირიან.

***— ირაკლი შოთაძე პირობას დებს, რომ მისი ხელმძღვანელობის პირობებში პროკურატურა ბევრად ღია და გამჭვირვალე იქნება.***

— მეხუმრებით? პოლიტიკური დავალების შესრულების სურვილი მისი მხრიდან ცალსახაა. ამ შემთხვევაში ღიაობა და გამჭვირვალობა შეუძლებელია. ივანიშვილის სურვილია, რომ პოლიტიკური ოპოზიცია გაანადგუროს, განსაკუთრებით კი — პროკურატურის ხელით. ამაში პირადად ირაკლი შოთაძე მონაწილეობს. ყველა ის საქმე, რომელიც „ოცნების“ წარმომადგენელთა ბრალეულობას ეხება, მას არ ეხება, მათ ის არ კურირებს და ა.შ. ასეთი პასუხები აქვს ამ კითხვებზე.

## „ქვეყანას ბიძინა ივანიშვილი მართავს და რომელ არჩევითობაზეა საუბარი?!“

სიტყვაზე უნდა დავუჯეროთ, რომ ოდესმე შეეხება?

***— თვითონ არჩევის წესთან დაკავშირებით რას იტყვით? ეს არ არის წინ გადადგმული ნაბიჯი?***

— ქვეყანას ბიძინა ივანიშვილი მართავს და რომელ არჩევითობაზეა საუბარი?! ის კოსმეტიკა, რომელსაც ესენი რეფორმებს ეძახიან, ევროპის საბჭომ, ვენეციის კომისიამ გააკრიტიკა, რადგან ეს მექანიზმები არ იძლევა დამოუკიდებელი, ხელისუფლების გავლენისგან თავისუფალი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას.

როგორღაც ვენეციის კომისიას ცოტა უფრო მეტი მოეკითხება, ვიდრე, მაგალითად, ეკა ბესელიას. როგორ შეიძლება, ეს ნაბიჯი წინ გადადგმულად ჩავთვალო, როდესაც ქვეყანაში ოპოზიციას დევნიან, როდესაც მის მიმართ ერთი სტანდარტია გამოყენებული, ყველა დანარჩენის მიმართ კი — სხვა სტანდარტი. ამას კი შერჩევითი სამართალი ჰქვია.

***— ოპოზიციის დევნაში კონკრეტულად ვის გულისხმობთ, იმ სამ ახალგაზრდას?***

— ის სამი ახალგაზრდა საერთოდ სინდისის პატიმრის კატეგორიაში გადაიყვანეს. ისინი დღეს ციხეში არიან იმისთვის, რომ სხვები დააშინონ, რათა პროტესტის გამოხატვა არ გაბედონ. გარდა ამისა, არის პოლიტიკური ოპოზიციის დევნა ათასგვარი ბრალდებითა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრების მცდელობით. თუ გინდათ, რომ ამ ფონზე რაიმე პროგრესზე ვისაუბრო, ეს ძალიან გამიჭირდება.

***— ოპოზიციის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა პასუხისმგებლობასაც ნიშნავს. გამოდის, თქვენ ამ პასუხისმგებლობას გაურბიხართ, რადგან არცერთ კანდიდატს, რომელიც ხელისუფლების მიერ იქნა დასახელებული, თქვენ მხარს არ უჭერთ.***

— ჩვენ როდესაც არჩევნებში დამარცხება ვაღიარეთ, იმედი გვქონდა, რომ ოპოზიციას, როგორც ოპონენტებს, პატივს სცემდა ხელისუფლება, ველოდით, რომ ყველაფერი ცივილიზებულად წავიდოდა.

***— ასე არ მოხდა?***

— გასაგებია, რომ ვიღაცების მიმართ კითხვები არსებობდა და საქმეები უნდა გამოძიებულიყო, მაგრამ, როგორ განვითარდა ეს პროცესი, როგორ დააკავეს უგულავა იმაზე, რასაც თვითონ აკეთებენ!

***— რას გულისხმობთ?***

— ვგულისხმობ პარტიული აქტივისტების დასაქმებას. რა განცხადებებს აკეთებენ ოპონენტების მიმართ, რომ ჩვენ თავი უნდა დავხაროთ, ბიძინა ივანიშვილს ტაში უნდა დავუკრათ და მხოლოდ მაშინ გვექნება უფლება, ამ ქვეყნის ნორმალური მოქალაქეები ვიყოთ. ამ ფონზე კონსტრუქციული თანამშრომლობა ნაკლებად შესაძლებელია.

# „პუტინს საბრძოლო თვითმფრინავი ჩამოუგდეს და ბლუყუნით უპასუხა“

გულიკო ბალაძე

**თურქეთის მიერ რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდება ისევ რჩება მსოფლიო პოლიტიკის ძირითად თემად.**

თავდაცვის მინისტრის მრჩეველ გიორგი თავდგირიძის განცხადებით,



## გიორგი თავდგირიძე: „პუტინი ახლა ერდოღანის წესებით თამაშობს“

ერდოღანმა პუტინს თავისი ადგილი მიუჩინა.

— ინციდენტიდან დრო გავიდა და რუსეთმა თავი შეიკავა. რუსეთისთვის ეს უაღრესად დიდი გამოწვევაა, მაგრამ თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო აქცია ვერ გაბედა. რუსეთის რეაქცია საკმაოდ მოზომილი იყო. პუტინმა სამხედრო მოქმედება დაუყოვნებლივ არ განახორციელა, რაც იმედს იძლევა, რომ ვითარება არ გართულდება, — აცხადებს გიორგი თავდგირიძე.

***— რუსეთმა დაბომბა თურქეთის მანქანების კოლონა, რომელსაც სირიელი დევნილებისთვის ჰუმანიტარული ტვირთი მიჰქონდა.***

— ეს არ არის სამხედრო პასუხი. თუმცა, თუ ჰუმანიტარული ტვირთის განადგურება დადასტურდა, რუსეთის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება. რუსეთი ძალიან ფაქიზ რეგიონში ძალისმიერად ერევა ისე, რომ გათვლილი არ აქვს თავისი ნაბიჯები. ის კონკრეტული რეჟიმის მხარდასაჭერად, დესტრუქციულ, ძალისმიერ ქმედებებს მიმართავს.

თავდგირიძის თქმით, თუ რუსეთს უნდოდა, დადებითი როლი ეთამაშა რეგიონში უსაფრთხოების განსამტკიცებლად, ასადის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეეტანა, გარკვეული თამაშის წესებს უნდა დამორჩილებოდა. მისი ქმედება დიპლომატიური უნდა ყოფილიყო, რომ იმ კოალიციაში გაერთიანებულიყო, რომელშიც ბევრი სახელმწიფო მონაწილეობს.

***— რატომ არ წავიდა რუსეთი ამ გზით?***

— რუსეთს უნდა, რეგიონში ლიდერის როლი ითამაშოს, მაგრამ მე-20 საუკუნის ბოლოდან სამხედრო ძლიერება კი არა, პოლიტიკური გავლენები, კოლექტიური თამაშები, კოალიციური ქმედებებია მთავარი. რუსეთი ამ კონტექსტიდან ამოვარდნილია. კიდეც გაირთულა ვითარება.

პირველი, ვისაც შეეხო რუსეთის უხეში ქმედება, თურქეთია. თურქეთი რუსეთს აფრთხილებდა, რომ თუ მისი თვითმფრინავი დაარღვევდა თურქეთის საჰაერო სივრცეს, ჩამოაგდებდა. თუმცა, რუსეთმა კვლავ გააგრძელა ისეთი ქმედებები, როგორც საქართველოსთან დაკავშირებით აკეთებდა.

***— რუსეთის თვითმფრინავი ჩვენ რომ ჩამოგვეგდო, ბომბებს დაგვაყრიდა.***

— ყოველ შემთხვევაში, რუსეთმა მიიღო ის, რაც უნდა მიეღო, რადგან გამოვიდა გონიერების ჩარჩოდან. 1992 წლიდან საქართველოს წინააღმდეგ ძალისმიერ ღონისძიებებს მიმართავდა. შემდგომ უკრაინას ყირიმი წაართვა და პრობლემები შექმნა აღმოსავლეთ ნაწილში.

***— მოდით, ვაღიაროთ, რომ რუსეთს აქამდე ყველგან გაუვიდა.***

— მოდით, ეგ არ ვაღიაროთ. ნებისმიერი სახელმწიფო ფიქრობს, თავისი ქვეყანა განვითარების კალაპოტიდან არ ამოაგდოს. რა ზიანსაც რუსეთი ეკონომიკური სანქციებით, საზოგადოების დეგრადირებით, ყველა სფეროში რეგრესით ღებულობს, გაცილებით დიდი და გამოუსწორებელია.

***— რუსეთის პოლიტიკური ელიტები და მმართველი ძალები საკუთარი საზოგადოების კეთილდღეობაზე კი არა, სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებაზე არიან ორიენტირებული. ამიტომაც აქვთ დიდი ტერიტორია.***

— საზღვრების გაფართოება სხვა ტენდენციას მოჰყვა. ნიკოლოზ მეორეც ასევე ეპყრობოდა თავის სახელმწიფოს. ვიცით, რუსეთ-იაპონიის ომი და პირველ მსოფლიო ომში რუსეთის ჩართვა რა შედეგით დამთავრდა. იყო საშინელი ქაოსი და ორი ათეული წლის განმავლობაში ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასი ღირდა. ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძოდა და ქვეყანამ უდი-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ნარმანია თბილისელებისთვის 1.714 კუბოს ყიდულობს

დასაწყისი მე-3 გვერდზე



***ჯეტის პროექტი დაწუნებაზე რას ფიქრობთ, ისინიც მიხვდნენ, რომ უვარგისი ბიუჯეტია?***

— საქმეც ისაა, რომ ვერაფერსაც ვერ მიხვდნენ. ბიუჯეტის პროექტი 387 გვერდისგან შედგება. დარწმუნებული ვარ, რომ მათ უმეტესობას 7 გვერდიც კი არ ექნებათ წაკითხული.

***— აბა რატომ დაიწუნეს?***

— საკრებულოს წევრებიც თბილისში ცხოვრობენ და ხედავენ, რა პრობლემებია ქალაქში, რომ ბიუჯეტის პროექტის წაკითხვაც არ დასჭირდათ. ელემენტარულად თავის ამომრჩეველთან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ, ამ პროექტისთვის მხარის დაჭერით.

***— ბიუჯეტში ცვლილებების შესატანად ნარმანიას გარკვეული დრო მისცეს. ელოდებით მნიშვნელოვან ცვლილებებს?***

— დავით ნარმანიამ ბიუჯეტის პროექტი შესაძლოა საერთოდ არ ჩაასწოროს. ყოველ შემთხვევაში, სერიოზულ ცვლილებებს არ ველოდები.

***— რას იზამს ასეთ შემთხვევაში საკრებულო?***

— მაინც დაუმტკიცებენ, იმიტომ, რომ ასეთია „ქართული ოცნების“ ნება.

***— არჩევნები რომ მოადგათ კარზე, ამას არ გაითვალისწინებენ? არის ვარაუდი, რომ საქმე შესაძლოა იმპიჩმენტამდეც კი მივიდეს.***

— ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 23 ნოემბერს „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართა, სადაც თბილისის რაიონული ორგანიზაციის თანამშრომლები დაამტკიცეს. იმ შეხვედრაზე დავით ნარმანიაზეც იყო საუბარი. მას არსებული პრობლემების გამოსასწორებლად გარკვეული დრო მისცეს.

ჩვენ გავიგეთ ისიც, რომ უმრავლესობის დეპუტატები გააფრთხილეს, არჩეული მერის კრიტიკისაგან თავი შეიკავონ. იმდენად საშინელი იყო ნარმანიას წარმოდგენილი პროექტი, რომ რამდენიმე დეპუტატმა თავი ვერ შეიკავა, მაგრამ რადგანაც ნარმანია მაინც მათი გუნდის წევრია, მას გარკვეული დრო მისცეს.

რაღაცის გაკეთება უნდათ, მაგრამ ვერ აკეთებენ. დედაქალაქის მერია არის სრული ბანკროტი და ზერო. ზეროს მთავრობისგან კი რას ელოდებით?

***— საქალაქო სამსახურების უფროსების შეცვლა თუ გამოასწორებს საქმეს?***

— ბოლო საკადრო ცვლილება სრული ამორალობაა. დასუფთავების სამსახურის უფროსი ზედამხედველობის სამსახურის უფროსად დასვეს. არადა, ამ კაცმა თბილისი ნაგვის ქალაქად აქცია. თბილისში ურნას ვერ ნახავთ, რომელსაც თავი ეხურება. გაიარეთ ქალაქში და ნახავთ, რომ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ უბანში იქაურობა ნაგვით არის გადავსებული. ადამიანმა ნაგვის ურნა ვერ გამოცვალა და ეგ უკანონო მშენებლობებს მიხედავს? დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს ასე არ იქნება.

ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილი გზების ფასი ფულის მოპარვასთან არის კავშირში. რაიონებს საშუალო ფასი გამოყვანილი აქვთ კატასტროფულად. ერთი რაიონი თუ ამბობს, რომ 1 კვ.მ ასფალტს დააგებს 32 ლარად, მეორე რაიონი ამბობს, რომ ამისთვის 70 ლარი სჭირდება, მესამე რაიონი კი ამისთვის 50 ლარს ითხოვს. რაც რისკს ზრდის, რომ კონკრეტულმა პირებმა ამით დიდი ფული იშოვონ.

# „რუსეთის აგრესიის მარცხი საქართველოსთვის კარგი იქნება“

## თამარ ჩხეიძე: „ჭეშმარიტად სამართლიან საარჩევნო გარემოს ოპოზიციაც არ ითხოვს“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება აქტიური ოპოზიციისთვის აქტუალური თემაა. საარჩევნო კოდექსში ძირეული ცვლილებების მოთხოვნის საბაბით ოპოზიციის დიდმა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა ოქტომბრის შუალედურ არჩევნებს. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება გახდა შიმშილობის აქციის ერთ-ერთი მოთხოვნა საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მხრიდან.**

„ქართულმა ოცნებამ“ პირობა დადო, რომ მოშიმშილეების ინიციატივებს განიხილავს. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე თვლის, რომ ქვეყანაში საარჩევნო გარემოს ძირეული შეცვლა მოსალოდნელი არ არის.

– ჭეშმარიტად სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნას ოპოზიციაც არ ითხოვს. ეს გრძელდება წლების განმავლობაში. ყველა ცდილობს, საკუთარი პარტიული ინტერესები დაიცვას. საუბარი უნდა იყოს სრულ თანასწორობაზე, ყველა პოლიტიკური სუბიექტის უფლებებზე. მით უმეტეს, ცვლილებებს არ აპირებს „ქართული ოცნება“. შეიძლება საარჩევნო კოდექსში რაღაც შეიცვალოს, მაგრამ ეს იქნება კოსმეტიკური ცვლილებები, – განუცხადა „ახალ თაობას“ თამარ ჩხეიძემ.

***– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები ძველი სისტემით და ძველი სუბიექტების მონაწილეობით ჩატარდება?***

– ჩემი აზრით, ასე იქნება. ახალი დადებითი ძალის შესაქმნელად და გასააქტიურებლად მარტო კანონმდებლობის გაუმჯობესება არ კმარა. საამისოდ ბერკეტებია აუცილებელი.

***– კონკრეტულად?***

– კონკრეტულად ესაა ძალიან დიდი ფული და წვდომა მედიაზე. ბოლო წლებში პოლიტიკაში საქმიანობისთვის ასტრონომიული თანხები გახდა საჭირო. ადრე ასე არ იყო. არენაზე იქნებიან ისევ ისინი, რომლებიც აქამდე იყვნენ.

„ქართული ოცნება“ პრორუსულ კოალიციად მიმაჩნია. მასზე მიუღებელი არიან ღიად პრორუსული და რეაქციული პოლიტიკური ორგანიზაციები. ისინი პარლამენტში უმრავლესობით ვერ მოვლენ, თუმცა, საერთოდ მათი შესვლა საკანონმდებლო ორგანოში ანომალიაა. საუბედუროდ, მათ მხარდამჭერები ჰყავთ.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ მცირდება ევროკავშირის მხარდამჭერთა რიცხვი?***

– იმიტომ, რომ საქართველო ვერ განვითარდა სწორი მიმართულებით. ხალხს ჩამოუყალიბდა არასწორი დამოკიდებულება. ჩვენ რომ ნამდვილი დასავლური პოლიტიკა გაგვეტარებინა, სხვა ვითარება იქნებოდა და არ იარსებებდა ნოსტალგია საბჭოთა კავშირის მიმართ.

***– ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ საბჭოთა ნოსტალგია საშიში არ არის და ის არ უნდა გავაიგივოთ პრორუსულობასთან.***

– ორივე საშიშია. საბჭოთა ნოსტალგიით შეპყრობილები, როგორც წესი, რუსეთს არ აღიქვამენ მოწინააღმდეგედ. საზოგადოების ნაწილს ვერ გაუგია, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე არის რუსეთი, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები. რატომღაც ჰგონიათ, რომ დასავლეთთან დაახლოება საფრთხეს შეუქმნის ქართველების იდენტობას და მართლმადიდებლობას. ამ სიყალბეს რუსეთის მომხრე ძალები ავრცელებენ. რუსეთი აპელირებს ერთმორწმუნეობით. არადა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის რუსეთი იყო მტერი.

**„ქართული ოცნება“ პრორუსულ კოალიციად მიმაჩნია. მასზე მიუღებელი არიან ღიად პრორუსული და რეაქციული პოლიტიკური ორგანიზაციები. ისინი პარლამენტში უმრავლესობით ვერ მოვლენ, თუმცა, საერთოდ მათი შესვლა საკანონმდებლო ორგანოში ანომალიაა. საუბედუროდ, მათ მხარდამჭერები ჰყავთ**



***– ბოლო დროს რუსეთმა თავისი ქმედებები ახლო აღმოსავლეთში გადმოიტანა.***

– სამწუხაროა, რომ რუსეთს მიეცა თავისი ინიციატივების განხორციელების საშუალება. დასავლეთს უნდა მოევლო ისეთი მონსტრისათვის, როგორიცაა დაჯგუფება ისლამური სახელმწიფო. ამ ტერორისტულმა ორგანიზაციამ პარიზის ტერაქტებამდეც ბევრი სისასტიკე ჩაიდინა. ის თავებს აჭრის ბავშვებს. თუ კადაფს და ჰუსეინს მიხედეს, მათთვისაც შეეძლოთ მოევლოთ.

დასავლეთს არ უნდა მოეკვეთა ასადი. მასთან უნდა გამოენახათ საერთო ენა და რუსეთისათვის ჩამოეცილებინათ. იმედს არ ვკარგავ, რომ დასავლეთი საბოლოოდ დაამარცხებს რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას. ეს საზოგადოების მენტალიტეტის შეცვლასთან ერთად გამოსავალი იქნება საქართველოსთვისაც.

# „პუტინს საბრძოლო თვითმფრინავი ჩამოუგდეს და ბლუყუნით უპასუხა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

დესი კულტურული და ცივილიზაციური ზიანი მიიღო.

ასეთივეა პუტინისეული მმართველობის შედეგი. მეორე მსოფლიო ომში სწორ მხარეზე დგომამ ოდნავ გამოასწორა მდგომარეობა. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გამოჩნდა მეზობელი რეგიონები, რომლებიც მზარდი ეკონომიკითა და ცივილიზაციის მაღალი დონით გამოირჩევა, რუსულ სივრცეში კი მხოლოდ ორი მეგაპოლისია, სადაც ხალხი ნორმალურად ცხოვრობს. რუსეთის მდგომარეობა არავის შეშურდება. ბუნებრივი რესურსები რომ არა, რუსეთი დიდი ხანია, განვითარებადი ქვეყნების რიგში იქნებოდა.

***– ანუ თქვენ რუსეთს პოლიტიკას უწუნებთ?***

– პუტინის მართვის სტილი და პოლიტიკა, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო ახორციელებს, სასარგებლო არ არის თვით რუსეთისთვის. ის ჩვეულებრივი აგრესიული სახელმწიფოა.

***– დასავლეთი დიდი ხანია ცდილობს, რუსეთი თავისი თამაშის წესებით ათამაშოს. შეიძლება პუტინმა უკან დაიხიოს და მსოფლიოს დიდი ქვეყნების თამაშის წესებით ითამაშოს?***

– პუტინი ახლა ერდოღანის თამაშის წესებით თამაშობს. ერდოღანმა როგორც განუსაზღვრა და რა საზღვარიც მოუზომა, ზუსტად იმ საზღვარშია დღეს რუსეთი. პუტინი მოქცეულია გარკვეულ ჩარჩოებში.



***– რა ჩარჩოებში?***

– პუტინს, სადაც ძალას დაახვედრებენ, იძულებულია, კუდამოძუებულმა დატოვოს იქაურობა. მოხდა ის, რაც წარმოუდგენელია ნებისმიერი თავმოყვარე სახელმწიფოსთვის – საბრძოლო თვითმფრინავი ჩამოუგდეს და საპასუხოდ ბლუყუნით უპასუხა. რუსეთი ლავროვისა და ლავროვის ტიპის პოლიტიკოსების გააფთრებული ლანძღვა-გინებისა და წყევლის იმედადაა.

პუტინის პასუხი არ შეეფერებოდა იმ სახელმწიფოს პასუხს, რომელსაც პრეტენზია აქვს, ზესახელმწიფო იყოს და მსოფლიოში პოლუსს წარმოადგენდეს. ასე რომ, პუტინს თავისი ადგილი მიუჩინეს.

***– საპასუხოდ პუტინმა განაცხადა, რომ სირიაში ანტისარაკეტო თუ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს განალაგებს.***

– მას უკვე განლაგებული აქვს აღნიშნული სისტემები კავკასიის რეგიონში. ეს არაფერს ნიშნავს. საუბარია იმაზე, პუტინს ეყოფა თუ არა იმის ნება, ღილაკს თითი დააჭიროს და მიღებული პასუხის ადეკვატური იყოს.

***– ანუ რუსეთს არ ეყოფა ძალა, რომ თურქეთს ღია ომი გამოუცხადოს?***

– რუსეთს საკმაო ძალები აქვს რეგიონში განლაგებული. თუ სურდა ძალის დემონსტრირება, აქამდე შეეძლო ამის გაკეთება.

ჰაერსაწინააღმდეგო კომპლექსების განლაგება სირიაში, სტრატეგიული და სამხედრო თვალსაზრისით, მნიშვნელოვან გავლენას ვერ იქონიებს.

პუტინი ფიქრობდა, რომ თავისი ყოფნით სირიაში აიძულებდა დასავლეთს, კოალიციის წამყვან ძალად ელიარებინათ. ეგონა, ამის საფასურად უკრაინის მოვლენებზე თვალს დახუჭავდნენ. სურდა დასავლეთი მოლაპარაკებაზე წამოეყვანა, რაც საბოლოო ჯამში, ეკონომიკური სანქციების გაუქმებას გამოიწვევდა.

***– რეალურად რა მიიღო?***

– რუსეთმა მიიღო ცალსახა პასუხი – თურქეთმა ჩამოაგდო თვითმფრინავი, კოალიციაში მის ლიდერობაზე, საერთოდ, საუბარი არ არის, დასავლეთმა განუცხადა: მას ექნება თავისი ადგილი და მხოლოდ იმ როლითა და ადგილით უნდა დაკმაყოფილდეს. ეკონომიკური სანქციები კი კვლავ გაგრძელდა.

***– ითქვა, რომ რუსეთმა უკრაინაში ბრძოლები განაახლა, მაგრამ დასავლეთი ხმას არ იღებს.***

– რუსეთი არასოდეს აღიარებდა, რომ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებდა. შესაბამისად, ბრძოლებს ვერ განაახლებს. შეიძლება დაიწყოს საბრძოლო ოპერაცია, მაგრამ ასეთი ინფორმაცია არ მაქვს.

რუსეთი მთელ თავის რესურსებს სამხედრო ძლიერებას ახმარს, რომლის გამოყენებასაც ვეღარ ახერხებს.

***– ჯერჯერობით ახერხებს.***

– რას ეძახით მოხერხებას?

***– საქართველოსთან, უკრაინასთან, სირიაში გამოიყენა და გაუვიდა. ახლა ცოტა ფრთები შეუკვეცა თურქეთმა.***

– ასე ჩვენ შეგვიძლია აღვფრთოვანდეთ ხულიგნით ქუჩაში, მაგრამ ხულიგნის ბოლო არის გაუბედურება. ვინც არ არის ხულიგანი, წარმატებულ მომავალს გამოჭედავს. საფრანგეთიც კი, რომელმაც თავისი იმპერია თავისი ნებით დაშალა, უფრო ძლიერად გამოიყურება, ვიდრე რუსეთი.

***– ევროპული სანქციების ფონზე, რუსეთმა თურქეთთან ურთიერთობა რატომ გაირთულა?***

– როგორც ჩანს, პუტინს რუსი ხალხი არ უყვარს. ცდილობს, ქვეყანა რაც შეიძლება დააჩაჩანაკოს. თურქეთთან ურთიერთობა რუსეთს მანამდე დაეძაბა, სანამ სირიაში შევიდოდა. ეკონომიკურ პროექტებთან დაკავშირებით მათ საერთო ენა ვერ გამონახეს. ამდენად, სირიაში რუსეთის გააქტიურებას წინ უძღოდა გაცივებული პოლიტიკური ფონი. სირიამ ეს დაძაბულობა კიდევ უფრო გააშიშვლა.

თურქეთისთვის ძალიან გამაღიზიანებელი იყო რუსეთის მხრიდან მის საზღვართან საბრძოლო ოპერაციების ჩატარება იმ მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც თურქეთის მფარველობის ქვეშაა. რუსეთს ჰგონია, რომ თუ გარე ოპონენტს დააშინებს, მიზანს მიაღწევს. ეს მას ხან გასდის, ხან არა. მას არ შეუძლია დიპლომატიურ ჩარჩოებში მოქცევა და იმ თამაშის წესებით თამაში, რომლითაც დანარჩენი მსოფლიო თამაშობს.

***– რუსეთი დასჯერდება ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტას თუ დაგეგმავს რაიმე შეტევით ღონისძიებებს მომავალში? მოგეხსენებათ, რუსეთს ძლიერი სამხედრო მანქანა აქვს.***

– რუსეთს დღეს არ შესწევს ძალა, თურქეთის წინააღმდეგ რაიმე ტიპის სამხედრო ოპერაციები განახორციელოს. თუ ეს არ იქნება ცალკეული ინციდენტები. მათ შორის სახმელეთო საზღვარი არ არის. რუსეთის მხრიდან თურქეთის წინააღმდეგ ინიცირებული რაიმე საბრძოლო მოქმედება ძნელი წარმოსადგენია. რუსეთს საზღვაო ბრძოლების გამოცდილება, საერთოდ არ გააჩნია. მისი ფლოტი საკმაოდ სუსტადაა წარმოდგენილი არა მხოლოდ შავ ზღვაზე, არამედ ზოგადად.

თურქეთის უკან დგას ნატო და დასავლეთის ძლიერი ქვეყნები. ამიტომ გამოვრიცხავ, რუსეთმა სამხედრო მოქმედებები გაბედოს. თუმცა, პუტინი გარკვეულ ცაიტნოტშია. მას სჭირდება რაიმე ტიპის წარმატებული ღონისძიება, ძალაუფლება რომ შეინარჩუნოს.

ამ ინციდენტის შემდეგ მისი ძალაუფლება კიდევ უფრო შეირყა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პროპაგანდის ქართველი მოხალისეები აქტიურობენ. პუტინს სილა გააწნეს და პასუხი ვერ გასცა. ასეთი ტიპის მმართველები რუსეთში არ უყვართ. ამიტომ გარკვეულ ავანტიურას მიმართავს, რომ შეინარჩუნოს ის იმიჯი, რაც ყირიმის დაბრუნებით მოიპოვა.

# იოჰანეს ჰანი: „ძალიან მნიშვნელოვანია სტაბილურობა და ადამიანის უფლებები“



გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისრის, იოჰანეს ჰანის განცხადებით, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა რეფორმების პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია.

ამის შესახებ ჰანმა საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრამდე განაცხადა.

– ძალიან მნიშვნელოვანია სტაბილურობა, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა რეფორმების პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია და ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სწორედ ჩვენი ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა საქართველოსთან, – აღნიშნა იოჰანეს ჰანმა.

ნიუსპრესი

# თამარ ბერუჩაშვილი დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩი ხდება

საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა შესაძლოა დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩის თანამდებობა დაიკავოს.

ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ავრცელებს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებით, ბერუჩაშვილი ნამდვილად არის წარდგენილი აღნიშნულ თანამდებობაზე.

თამარ ბერუჩაშვილი 2013 წლიდან 2014 წლის ნოემბრამდე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო, 2014 წლის 11 ნოემბრიდან 2015 წლის 1-ელ სექტემბრამდე კი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა.

ნიუსპრესი

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# 2016 წლის ივლისიდან პენსიები 180 ლარამდე გაიზრდება



2016 წლის 1 ივლისიდან პენსიები 180 ლარი გახდება.

ამის შესახებ მთავრობის 27 ნოემბრის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, განაცხადა.

მისივე თქმით, მთავრობამ თავიდანვე განაცხადა, რომ ბიუჯეტი იქნებოდა სოციალურად ორიენტირებული და მომავალი წლის ბიუჯეტიც ასეთი იქნება.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, ეს სახსრები განკუთვნილი იქნება პენსიებისა და პედაგოგების საბაზო ხელფასებისთვის, ასევე მაღალმთიანი რეგიონების განვითარებაზე და სხვა.

– გუნდმა გადაწყვიტა, რომ 2016 წლის 1 ივლისიდან პენსიები გახდეს 180 ლარი. 2012 წლიდან ჩვენ პენსიები გავზარდეთ დაახლოებით 64%-ით. ეს არის 600 მილიონ ლარამდე, თუ შევადარებთ 2012 წლის ბიუჯეტს ამ მიმართულებით, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ძალიან მნიშვნელოვანია, დაინერგოს პენსიის დაგროვებითი სისტემა და ეტაპობრივად გადავიდეთ ახალ სისტემაზე.

– ხელისუფლება არჩევნების რეჟიმში არ ცხოვრობს და გადაწყვეტილებები მხოლოდ არჩევნებზე მორგებული არ არის.

ამის შესახებ განცხადება ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, დიმიტრი ხუნდაძემ, „კომერსანტთან" გააკეთა.

მისი თქმით, მთავრობის გადაწყვეტილება პენსიების 180 ლარამდე გაზრდის შესახებ, არ არის წინასაარჩევნოდ გადადგმული ნაბიჯი და ის არსებულ მაჩვენებლებზეა დაფუძნებული.

– ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებში უკვე დადებითი დინამიკა შეინიშნება. აღინიშნება ჭარბი საგადასახადო შემოსავლებიც, ასევე ინვესტიციები, რომლებიც რეალურად არის პროგნოზირებადი. ძალიან ბევრი კომპონენტი იქნა გათვალისწინებული. ასე რომ, რეალურად, სახელმწიფომ გააკეთა განაცხადი, რომელიც არის რეალური, არასაფრთხის შემცველი და პერსპექტიული, – განაცხადა ხუნდაძემ.

მისი თქმით, ეს ყველაფერი არ იქნება დამანგრეველი, ნაციონალების შეთავაზება კი პენსიების 50 ლარით მატებაზე პოპულისტური და საფრთხის შემცველია.

ხუნდაძის მტკიცებით, ქვეყანა მალე უნდა გადავიდეს დაგროვებითი პენსიების სისტემაზე, რადგან მუდმივად ასე პენსიების მატება არ იქნება საკმარისი არც პენსიონერისთვის და ასევე არ იქნება ეკონომიკისთვის მომგებიანი.

– დაგროვებითი საპენსიო სისტემა ყველასთვის სასარგებლოა. თუმცა, საპენსიო დაგროვებითი პენსიის ეფექტი რამდენიმე წლის შემდეგ იქნება, მაგრამ თუ არასოდეს დავიწყებთ, ეს ეფექტი არასოდეს დადგება, – განაცხადა დეპუტატმა.

დიმიტრი ხუნდაძემ გააკრიტიკა ერთი თვის წინ ფინანსთა მინისტრის მოადგილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ პენსიები არ გაიზრდებოდა.

– პარლამენტმა ძალიან აქტიურად იმუშავა, სამუშაოები დაახლოებით 3-4 დღის წინ დასრულდა, მიწოდებულ იქნა პრემიერისთვის. მე მქონდა მოლოდინი, რომ პრემიერი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებდა, ეს ასეც მოხდა. გათვლა რეალურია და არა პოპულისტური, ეს არის იმ ოდენობის მატება, რისი საშუალებაც დღეს ბიუჯეტს აქვს, – აღნიშნა ხუნდაძემ.

მისი ინფორმაციით, პენსიების 20 ლარით ზრდა ბიუჯეტს 2016 წელს 95 მილიონი ლარი, ხოლო შემდეგ წელს 190 მილიონი ლარი დაუჯდება.

* * *

საქართველოს რეფორმების ასოციაციის ეკონომისტი ბესო ნამჩავაძე აცხადებს, რომ მთავრობის ეს გადაწყვეტილება არჩევნებთან არის დაკავშირებული.

მისი შეფასებით, პოლიტიკურად ძალიან ცუდი იქნებოდა, რომ პენსიის ზრდა ვერ მოეხერხებინათ.

– მგონია, რომ ამ გადაწყვეტილებაზე ყველაზე მეტად გავლენა იქონია იმან, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების გეგმა 104 მილიონი ლარით გაიზარდა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მინიმუმ 104 მილიონი ლარით მეტი მომავალ წელსაც იქნება. ამას ემატება ეკონომიკური ზრდის ეფექტი.



შედეგად, 2016 წელს სახელმწიფო დაახლოებით 150 მილიონი ლარით მეტს მიიღებს. ნაციონალური მოძრაობის დაპირება 50 ლარით პენსიების ზრდაზე, ასევე რეალური იყო, თუმცა, ამას სჭირდებოდა სხვა მიმართულებით ხარჯების შემცირება, – აცხადებს ნამჩავაძე.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

# ჯანდაცვის მინისტრი იაშვილის კლინიკის პრობლემებზე რეაგირებას არ აპირებს

– შემიძლია ცალსახად დავადასტურო და პასუხს ვაგებ ჩემს სიტყვებზე, რომ სახელმწიფოს მხრიდან არც ერთი დღით არ ყოფილა ფულის გადარიცხვის დაგვიანება.

ასე უპასუხა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ „კომერსანტის" შეკითხვას იაშვილის კლინიკის ექიმების მიერ რამდენიმე დღის წინ გამართულ აქციასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ აქცია ხელფასების დაგვიანების გამო გაიმართა და მისი მონაწილე ექიმები აცხადებდნენ, რომ ეს ხელფასების დაგვიანების პირველი შემთხვევა არ არის. მათი თქმით, პრობლემა კლინიკაში „ევექსის" შესვლის შემდეგ შეიქმნა.

„კომერსანტი" დაინტერესდა, ასეთ შემთხვევაში, როდესაც საფრთხის ქვეშ დგება პაციენტთა უწყვეტი სამედიცინო მომსახურების გაწევა, აქვს თუ არა ჯანდაცვის სამინისტროს ვითარებაში ჩარევის ბერკეტი და გვაქვს თუ არა საქმე სისტემურ პრობლემასთან ამ კორპორაციაში?



აღნიშნულზე დავით სერგეენკო პასუხობს, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ჩაერევა იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე შეექმნება 2 კომპონენტს: ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების უწყვეტობას და მომსახურების ხარისხს. როგორც მინისტრი ამბობს, სამინისტრო, ასეთ შემთხვევაში, ვალდებულიც კი არის, ჩაერთოს პროცესებში.

– ვერ დაგიდასტურებთ, რომ ეს სისტემური ხასიათის პრობლემაა, ეს ალბათ მენეჯმენტმა უნდა გაარკვიოს, რომ არ შეუქმნას საფრთხე დაწესებულების ფუნქციონირებას. ჯანდაცვის სამინისტრო ჩაერევა იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნა კოლექტიური შრომითი დავა. ეს არის ჩვენი ერთ-ერთი ვალდებულება, რომ შრომითი დავების მედიატორი მივავლინოთ.

ამას არ ჰქონდა არც ერთი ნიშანი კოლექტიური შრომითი დავების. ეს იყო მენეჯმენტის მოსაგვარებელი მარტივი საკითხი, – განაცხადა სერგეენკომ.

* * *

შეგახსენებთ: ლონდონის საფონდო ბირჟაზე გასვლიდან ორ დღეში „სამედიცინო კორპორაცია ევექსის" თანამშრომლები ხელფასების დროულად დარიგების მოთხოვნით გაიფიცნენ.

ექიმების თქმით, ხელფასთან დაკავშირებით პრობლემები კომპანია „ევექსის" იაშვილის კლინიკაში შესვლის შემდეგ შეექმნათ.

იაშვილის კლინიკაში ექიმების გაფიცვა პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც „სამედიცინო კორპორაცია ევექსის" მენეჯმენტის მიმართ მის მფლობელობაში არსებული კლინიკის ექიმები პროტესტს გამოთქვამენ.

მანამდე იყო პრობლემები კორპორაციის მფლობელობაში არსებული სამშობიარო კლინიკა „ახალ სიცოცხლეში," ასევე მოხდა პაციენტების გარდაცვალების რამდენიმე შემთხვევა, რის გამოც კორპორაციის კუთვნილი კლინიკების ექიმებს სანქციები დაეკისრათ.

რა პასუხისმგებლობა აკისრია სახელმწიფოს იმ დროს, როდესაც კერძო კლინიკაში პაციენტების მომსახურების წყვეტა ხდება? ამაზე პასუხი არ არსებობს, რადგან არ არსებობს რეაგირების შესაბამისი მექანიზმები.

დავით სერგეენკომ ჯერ კიდევ ორი წლის წინ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, რომ ჯანდაცვა არის სფერო, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებადი უნდა იყოს.

**კომერსანტ.გე**

# მასწავლებლის საშუალო ხელფასი 600-700 ლარი გახდება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრ თამარ სანიკიძის განცხადებით, 2016 წლის აპრილში მასწავლებლის საშუალო ხელფასი უკვე 600-700 ლარი იქნება.

ამის შესახებ თამარ სანიკიძემ მთავრობის 27 ნოემბრის სხდომაზე განაცხადა.

მანამდე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ჯანდაცვის შემდეგ ყველაზე დიდი ფინანსური რესურსი მობილიზებული იქნება განათლებაზე.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 2015 წლის 1 აპრილიდან პედაგოგების ხელფასების ზრდის მეორე ეტაპი დაიწყო და გახდა 405 ლარი, ეს გაგრძელდება გაისადაც. განათლების და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ კი აღნიშნა, რომ 2012 წელთან შედარებით, 60%-იანი ზრდა არის საბაზო ხელფასის.

– მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ საბაზო ხელფასის ზრდა უფრო მეტად ზრდის კიდევ საშუალო ხელფასს. მასწავლებლის საშუალო ხელფასი უკვე 2016 წლის აპრილში გვექნება 600-700 ლარი, – განაცხადა თამარ სანიკიძემ.



პრემიერი დაინტერესდა, რამდენი იყო საშუალო ხელფასი, რაზეც სანიკიძემ უპასუხა, რომ საშუალო ხელფასი იყო 400-დან 500 ლარამდე.

როგორც სანიკიძემ აღნიშნა, 2017 წელს კიდევ არის მასწავლებლის ხელფასის ზრდა დაგეგმილი, რაც, საბოლოო ჯამში, საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასს გაუტოლებს მასწავლებლის ხელფასსაც.

პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა მეცნიერების ხელფასებზეც.

მისი თქმით, ეს ხელფასები იყო მიზერული, სადღაც 150-200 ლარი და გაიზარდა 200-300%-ით.

ამ თემაზე საუბრისას განათლების მინისტრმა აღნიშნა, რომ კვლევით დაწესებულებებში საშუალო ხელფასი არის 600-700 ლარი, ადრე კი 150-200 ლარი იყო.

**ბიპიენი**

# სურსათის სააგენტომ ხუთი საბავშვო ბაღი დააჯარიმა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გადამოწმებისას რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო 400 ლარით ხუთი საბავშვო ბაღი დააჯარიმა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, სააგენტო მთელი ქვეყნის მასშტაბით საბავშვო ბაღების კვების ბლოკებისა და სკოლის ბუფეტების ინსპექტირებას განაგრძობს.

სააგენტოს ინფორმაციით, მიმდინარე წლის ნოემბერში 290 ინსპექტირება ჩატარდა (გეგმური – 40 საბავშვო ბაგა-ბაღსა და 4 სკოლაში, არაგეგმური – 2 სკოლაში, გადამოწმდა 213 საბავშვო ბაგა-ბაღი და 31 სკოლის ბუფეტი). გადამოწმებისას რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო 400 ლარით ხუთი საბავშვო ბაღი დაჯარიმდა.

– ინსპექტირებისას კრიტიკული შეუსაბამობები არ გამოვლენილა და, შესაბამისად, არცერთი საბავშვო ბაღის კვების ბლოკსა და სკოლის ბუფეტს საწარმოო პროცესი არ შესჩერებია.

დარღვევები გამოიხატა შემდეგში – ჭურჭლის გასარეცხი და ხელსაბანი ნიჟარების არასაკმარისი რაოდენობა, ცხელი წყლისა და შესაბამისი ჰიგიენური საშუალებების, სათანადო ვენტილაციის, დეზობარიერების, მწერებისაგან დამცავი ბადის არარსებობა, დამცავი ტანისამოსის არქონა და ა.შ.

აღნიშნული შეუსაბამობების გამოსწორების მიზნით ბიზნესოპერატორებს მიეცათ რეკომენდაციები და ვადები, რის შემდეგაც სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორები გადამოწმებას განახორციელებენ, – აცხადებენ სააგენტოში.

მათივე ინფორმაციით, 2015 წლის იანვრიდან დღემდე, წინასწარი მონაცემებით, სასკოლო და სკოლამდელ დაწესებულებებში ჩატარებულია 2011 ინსპექტირება, მათ შორის, საბავშვო ბაგა-ბაღებში 1650 (გეგმური – 941, არაგეგმური – 13, გადამოწმება 696) და სკოლის ბუფეტებში – 361 (293 – გეგმური; 4 – არაგეგმური; 64 – გადამოწმება).

ინსპექტირების პროცესი კვლავ გრძელდება.

**ინტერპრესნიუსი**

# კალაძე: „სამუშაო ადგილები ბიზნესმა უნდა შექმნას"

ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის განცხადებით, სამუშაო ადგილებს სახელმწიფო ვერ შექმნის, სამუშაო ადგილები ბიზნესმა უნდა შექმნას.

ამის შესახებ კალაძემ მთავრობის 27 ნოემბრის სხდომის შემდეგ განაცხადა.

– სახელმწიფომ, მთავრობამ ყველანაირად ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესს თავისი ახალი კანონების შემუშავებით, რეგულაციების გამარტივებით. ამ მიმართულებით ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ, ბევრი პროექტია განხორციელებული, თუნდაც ავიღოთ სოფლის მეურნეობის მიმართულებით, დაახლოებით, 139 ახალი საწარმო არის შექმნილი. ბოლო სამი წლის განმავლობაში 90.000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა.

ეს არის კერძო სექტორი. მე მესმის, ეს შეიძლება არ არის ძალიან ბევრი, თუმცა, პროგრესი არის. ეს პროცესი დაწყებულია და ამას ვერაფერი შეაჩერებს, – განაცხადა კალაძემ.

**ბიპიენი**

## აზერბაიჯანმა საჰაერო თავდაცვის ძალები მზადყოფნაში მოიყვანა



27 ნოემბერს აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრ ზაკირ ჰასანოვის ბრძანებით, ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალები და საშუალებები მზადყოფნის მდგომარეობაში მოიყვანეს.

აღნიშნული ქმედება სწავლების ფარგლებში განხორციელდა. როგორც აზერბაიჯანის თავდაცვის უწყების პრესსამსახური იტყობინება, შემოწმდა საბრძოლო მზადყოფნა, პირადი შემადგენლობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, საბრძოლო საშუალებების გამოყენების შესაძლებლობები. საბრძოლო ამოცანა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების მიერ საზენიტო-სარაკეტო სისტემის გამოყენებით განხორციელდა.

თავდაცვის სამინისტრომ სამხედრო ძალების საბრძოლო მომზადებას უმაღლესი შეფასება მისცა.

## საქართველოს შს მინისტრი აზერბაიჯანის საგანგებო სიტუაციების მინისტრს შეხვდა

ბაქოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი აზერბაიჯანის საგანგებო სიტუაციების მინისტრ ქემალედინ ჰეიდაროვს შეხვდა.

გიორგი მღებრიშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ქართული მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აზერბაიჯანთან მჭიდრო თანამშრომლობას სამოქალაქო თავდაცვის და საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში.

შს მინისტრმა აზერბაიჯანის საგანგებო სიტუაციების მინისტრს საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განხორციელებული რეფორმები და სიახლეები გააცნო.



გიორგი მღებრიშვილმა ქემალედინ ჰეიდაროვს საგანგებო სიტუაციების სფეროს განვითარების მიზნით, ორი ქვეყნის აკადემიებს შორის მემორანდუმის გაფორმება შესთავაზა.

აზერბაიჯანის საგანგებო სიტუაციების მინისტრმა კმაყოფილება გამოთქვა საქართველოს შს სამინისტროსთან არსებულ ნაყოფიერ თანამშრობლობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირება, გამოცდილების ურთიერთგაზიარების შედეგად, ბევრად ეფექტური გახდება.

შეხვედრაზე მინისტრებმა თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს.

## მღებრიშვილი აზერბაიჯანის საზღვრის დაცვის სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელს შეხვდა

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი აზერბაიჯანის საზღვრის დაცვის სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელს – ელჩინ გულიევს შეხვდა.

გიორგი მღებრიშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის საზღვრების დაცვა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ საზღვრის დაცვის სფეროში ორი ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობა ხელს შეუწყობს რეგიონულ უსაფრთხოებას, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის და ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას.

გიორგი მღებრიშვილი და ელჩინ გულიევი შეთანხმდნენ, რომ ახლო მომავალში ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყებები მოქალაქეებს საზღვარზე კიდევ უფრო გაუმჯობესებულ სერვისებს შესთავაზებენ.

მედიცინა



## წითელა მყარ იმუნიტეტს ტოვებს

ინფექციის წყაროა ავადმყოფი, რომელიც განსაკუთრებით საშიშია დაავადების ადრეულ, კატარალურ პერიოდში. ინფექციის გადაცემა ხდება ჰაერ-წვეთოვანი გზით. წითელათი ძირითადად ავადდებიან ბავშვები;

ინკუბაციური პერიოდის დასასრულიდან გამონაყრის მე-3 დღემდე ვირუსები ცირკულირებს სისხლში (ვირუსემია).

ვირუსები აზიანებს სასუნთქი გზების ლორწოვან გარსებსა და იწვევს კანის ზედა ფენების პერივასკულურ ანთებას, რაც ვლინდება გამონაყარით. დამტკიცებულია ალერგიული მექანიზმების როლიც.

ინკუბაციური პერიოდი 9-11 დღეა. პროდრომულ ან კატარალურ პერიოდში ტემპერატურა მატულობს 38,5-39 გრადუსამდე, ვითარდება სინათლის შიში, კონიუნქტივიტი, სურდო, მშრალი მყეფავი ხველა; ავადმყოვის სახე ჰიპერემიულია, წითელია.

კატარალური პერიოდის მე-2-მე-3 დღეს შეიძლება ლოყის ლორწოვან გარსზე, განსაკუთრებით კარიესული კბილების პირდაპირ, წვრილი, მოთეთრო, ზედაპირიდან ამოწეული წერტილების გაჩენა;

ლორწოვანის აღნიშნული ცვლილება მოგვაგონებს მასზე ქინძისთავის მრავლობით ნაჩხვლეტებს.



აღნიშნული სიმპტომი წარმოადგენს დიაგნოზის აბსოლიტურად ზუსტ მტკიცებულებას. კატარალური პერიოდის მე-3 დღიდან მაგარ სასაზე ვითარდება ჰიპერემია და გაფაშრება.

წითელას მიმდინარეობის მეორე პერიოდი – გამონაყრის პერიოდი იწყება დაავადების მე-4 დღეს, მას თან სდევს ტემპერატურის მნიშვნელოვანი მომატება (39,5 – 40,50 გრადუსი) და კანზე დამახასიათებელი მსხვილლაქოვანი წითელას გამონაყრის გაჩენა.

თავდაპირველად გამონაყარი ვრცელდება სახის კანზე და ყურების უკან, მე-2 დღეს გამონაყარი ვრცელდება სხეულის ზედაპირზე და ზედა კიდურების უბნებზე; მე-3 დღიდან გამონაყარი ვლინდება ქვედა კიდურებზეც.

გამონაყარი შედგება 3-4 სმ დიამეტრის, მუქი ვარდისფერი, ზედაპირიდან ამოწეული მრგვალი ლაქებისგან, ადგილ-ადგილ გამონაყარი შეიძლება გახდეს შერწყმისადმი მიდრეკილი, თუმცა მაინც ინარჩუნებს თავის ლაქოვან – პაპულოზურ ხასიათს.

დასუსტებულ ბავშვებში, გამონაყარმა შეიძლება მიიღოს მოლურჯო ელფერი. სისხლის სურათი ხასიათდება ლეიკოპენიით და შედარებითი ლიმფოპენიით.

კატარული პერიოდის დასაწყისში აღინიშნება ლეიკოციტოზი ნეიტროფილოზით. გაურთულებელი წითელას დროს, გამონაყრის პერიოდის მე-4 დღეს, ტემპერატურა ნორმას უბრუნდება ან ჩამოდის სუბფებრილურ ციფრებამდე, იწყება გამონაყრის გაქრობა სახეზე, შემდეგ სხეულზე და ყველაზე გვიან კიდურებზე. მის ადგილას რჩება უმნიშვნელო პიგმენტაცია, აღინიშნება მცირე აქერცვლა.

ზოგჯერ დაავადება ძალზე მძიმედ მიმდინარეობს, მას თან სდევს ბოდვები, ქოშინი, ციანოზი, კრუნჩხვები, გავრცელებული ბრონქიოლიტის სურათი;

შესაძლებელია ავადმყოფის სიკვდილი დაავადების ადრეულ პერიოდშიც კი. დიდ საშიშროებას წარმოადგენს წითელას გართულება პნევმონიით.

სხვა გართულებებიდან უნდა გამოვყოთ ოტიტები, მასტოიდიტები, სინუსიტები, ცრუ კრუპი. წითელას კრუპის სიმპტომი – მოხრჩობის შეტევა, რომელიც უხშირესად ვითარდება ღამით ხმოვანი ნაოჭების შეშუპებით.

მოზრდილებში, განსაკუთრებით თუ ანამნეზში აღნიშნავენ გულ – სისხლძარღვთა სისტემის დაავადებას, წითელა მიმდინარეობს ძალიან მძიმედ და შესაძლოა დამთავრდეს ლეტალურად.

გადატანილი დაავადება ტოვებს მყარ იმუნიტეტს.

დაავადების ამოცნობა ხდება ეპიდემიოლოგიური მონაცემების, კატარული პერიოდის გათვალისწინებით კლინიკური სურათის, კანზე გამონაყრის თანმიმდევრობის საფუძველზე.

კატარალურ პარიოდში დაავადების დიფერენცირება ხდება გრიპისგან, ადენოვირუსული ინფექციებისგან, გამონაყრის პერიოდში – წითურასგან, ქუნთრუშასგან, წამლისმიერი დაავადების სხვადასხვა ვარიანტისაგან.

თერაპიის სპეციფიკური მეთოდები შემუშავებული არ არის; ძირითადია წოლითი რეჟიმი, ჰიგიენის დაცვა, სიმპტომატური საშუალებები.

ბაქტერიული წარმოშობის გართულებების დროს – ანტიბიოტიკები.

პნევმონიის, კრუპის, ეცეფალიტის მკურნალობა ტარდება ზოგადი პრინციპებით. ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაცია ხორციელდება კლინიკური და ეპიდემიოლოგიური ჩვენების მიხედვით.

სიკვდილის შემთხვევები წითელას დროს ძალზე იშვიათია და აღინიშნება ძირითადად წითელასმიერი ენცეფალიტის დროს.

ბავშვებში აქტიური იმუნიზაცია ტარდება; წითელით დაავადებულის იზოლირება საჭიროა არანაკლებ 5 დღით, გამონაყრის გაჩენიდან; დეზინფექცია საჭირო არ არის.

## ახალშობილების ფილტვების მოცულობა დაახლოებით 67 კუბ.სმ-ია

ნორჩი ასაკის ბავშვებში ფილტვების ნაპრალები სუსტადაა გამოხატული, ხშირად ფილტვის ზედაპირზე ჩანს ზერელე ღარების სახით; განსაკუთრებით მარჯვენა ფილტვის შუა წილი თითქმის ერთვის ზედა წილს. ინტერსტიციალური შემაერთებელი ქსოვილი ბავშვებში ფაშარია, მდიდარია ლიმფური ძარღვებით და სისხლძარღვებით. ბავშვის ფილტვი ღარიბია ელასტიური ქსოვილით, განსაკუთრებით ალვეოლების ირგვლივ.

ახალშობილების ფილტვების მოცულობა დაახლოებით 67 კუბ.სმ-ია; 15 წლისთვის მათი მოცულობა იზრდება 10-ჯერ, ზრდადასრულებულ ადამიანში – 20-ჯერ. ფილტვების საერთო ზრდა ხდება უპირატესად ფილტვების მოცულობის გადიდების ხარჯზე.

ბავშვის ფილტვების მსუნთქავი ზედაპირი შედარებით მეტია, ვიდრე სრულასაკოვანი ადამიანისა. ალვეოლური ჰაერის კონტაქტური ზედაპირი შედარებით მეტია, ვიდრე სრულასაკოვანი ადამიანისა.

ალვეოლური ჰაერის კონტაქტური ზედაპირი ფილტვების კაპილარების სისხლძარღვოვანი სისტემითურთ ასაკობრივ ზრდასთან შედარებით მცირდება. სისხლის რაოდენობა, რომელიც გადის ფილტვებში დროის გარკვეულ ერთეულში, ბავშვებში უფრო მეტია, ვიდრე დიდებში, რაც ქმნის მეტად ხელსაყრელ პირობებს აირცვლისათვის.

ჩვილ ბავშვებში ნეკნები თითქმის პერპენდიკულარულ მდგომარეობაშია ხერხემლის მიმართ და გულ-მკერდის ტევადობის გადიდებას იწვევს.

პირველი შესუნთქვა, რასაც თან ახლავს პირველი დაყვირება, შემთხვევათა უმრავლესობაში ახალშობილებში წარმოიშობა მაშინვე, როგორც კი ნაყოფი გაივლის დედის სამშობიარო გზებს.

მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი სისხლში ჟანგბადის საკმაო მარაგით იბადება ან ადგილი აქვს სასუნთქი ცენტრის რამდენადმე აგზნებადობას, გადის რამდენიმე წამი, ზოგჯერ წუთიც, ვიდრე თავს იჩენს პირველი სუნთქვა. სუნთქვის ამ ხანმოკლე შეფერხებას ახალშობილის აპნოე ეწოდება.

პირველი ღრმა შესუნთქვის შემდეგ ჯანსაღ ახალშობილს უმყარდება მეტწილად თანაბარზომიერი სუნთქვა. სუნთქვის რითმის არათანაბარზომიერება, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნება ბავშვის სიცოცხლის პირველი საათების და ზოგჯერ დღეების განმავლობაშიც, ჩვეულებრივ მალე გამოსწორდება ხოლმე.

სუნთქვის მოძრაობის სიხშირე ახალშობილებში დაახლოებით 40-60-ს უდრის წუთში. შემდეგ, ასაკის მიხედვით, სუნთქვა უფრო გაიშვიათებული ხდება და



თანდათან უახლოვდება ზრდასრული ადამიანის სუნთქვის რითმს.

8 წლამდე ვაჟებს უფრო ხშირი სუნთქვა აქვს, ვიდრე გოგონებს. სქესობრივი მომწიფების პერიოდში კი ქალები ასწრებენ ვაჟებს და ყველა მომდევნო წლებში მათი სუნთქვა უფრო ხშირი ხდება.

ბავშვებისათვის დამახასიათებელია სუნთქვის ცენტრის ადვილი აგზნებადობა. ფსიქიკური აგზნება, მსუბუქი ფიზიკური დაძაბვა, სხეულისა და გარემოს ტემპერატურის უმნიშვნელო აწევა თითქმის ყოველთვის იწვევს სუნთქვის მნიშვნელოვან გახშირებას და ზოგჯერ სუნთქვის რითმის სისწორის დარღვევასაც.

ფილტვის სასიცოცხლო ტევადობა არის მაქსიმალურად შესუნთქვის შემდეგ მაქსიმალურად ამოსუნთქული ჰაერის რაოდენობა. მისი განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ 5-6 წლის ასაკიდან, ვინაიდან გამოკვლევის მეთოდიკა მოითხოვს ბავშვის აქტიურ მონაწილეობას. ვაჟებში ფილტვის სასიცოცხლო ტევადობა მეტია, ვიდრე ქალებში. ფილტვის უდიდეს ტევადობას ადგილი აქვს თორაკო-აბდომინალური სუნთქვის დროს, უმცირესს – წმინდა მკერდით სუნთქვისას.

სუნთქვის ტიპი ბავშვის ასაკისა და სქესის მიხედვით იცვლება; ახალშობილობის პერიოდის ბავშვებში ჭარბობს დიაფრაგმული ტიპის სუნთქვა და ნეკნების კუნთები თითქმის სრულად არ მონაწილეობს დამატებით აქტში. ძუძუთა ბავშვებში ვლინდება ე.წ. გულმკერდ-მუცლის სუნთქვა, რომლის დროსაც ჭარბობს დიაფრაგმული სუნთქვა; გულ-მკერდის ექსკურსიები სუსტადაა გამოხატული მის ზემო ნაწილებში და, პირიქით, გაცილებით უფრო ძლიერად მის ქვემო ნაწილებში. ბავშვის მუდმივად ჰორიზონტალური მდგომარეობიდან ვერტიკალურში გადასვლასთან ერთად იცვლება სუნთქვის ტიპიც; ამ ასაკში (მეორე წლის დასაწყისში) ის ხასიათდება დიაფრაგმული და მკერდული კომბინაციით, ამასთან, ზოგ შემთხვევაში ჭარბობს ერთი მათგანი, ზოგშიც – მეორე. 3-7 წლის ასაკში მხრის სარტყლის კუნთების განვითარებასთან დაკავშირებით სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება მკერდული სუნთქვა, რომელიც აშკარად დიაფრაგმულზე უპირატესი ხდება.

სუნთქვის ტიპის განსხვავება სქესის მიხედვით პირველად თავს იჩენს 7-14 წლის ასაკში; სქესობრივ მომწიფებამდე და სქესობრივი მომწიფების პერიოდებში ვაჟებში თავს იჩენს მუცლის ტიპის, ქალებში კი – მკერდის ტიპის სუნთქვა. სუნთქვის ტიპის ასაკობრივი ცვლილებები წინასწარ განსაზღვრულია ბავშვის გულ-მკერდის ზემოთ აღნიშნული ანატომიური თავისებურებებით სხვადასხვა ასაკში. გულ-მკერდის ტევადობის გადიდება ნეკნების აწევის ხარჯზე ძუძუთა ბავშვებში თითქმის შეუძლებელია ნეკნების ჰორიზონტალური მდებარეობის გამო. ეს შესაძლებელი ხდება უფრო მოგვიანებით ასაკში.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# რუსეთი და საფრანგეთი ისლამურ სახელმწიფოს ერთობლივად შეებრძოლებიან



რუსეთი და საფრანგეთი ისლამურ სახელმწიფოსთან ერთობლივ ბრძოლაზე შეთანხმდნენ.

როგორც საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა მოსკოვში, რუს კოლეგა ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, ორი ქვეყანა საჰაერო დარტყმების მიტანისას კოორდინირებულად იმოქმედებს. იგეგმება ავიაიერიშების გააქტიურებაც. თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მხარეები ტერორიზმის საკითხებზე ოპერატიული ინფორმაციის გაცვლის ხარისხს გაზრდიან.

მოსკოვმა ასევე პირობა დადო, რომ სირიაში მოქმედი ე.წ. ზომიერი ოპოზიციის ძალებზე ავიადარტყმებისგან თავს შეიკავებს.

ვლადიმერ პუტინის განცხადებით, რუსეთი მზადაა, ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ამერიკის მიერ შექმნილ კოალიციასთან ითანამშრომლოს, მაგრამ თუ რომელიმე ქვეყანა ისევ ჩამოაგდებს რუსულ სამხედრო თვითმფრინავს, რუსეთს არცერთ კოალიციასთან თანამშრომლობა არ სჭირდება.

– ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ამერიკის მიერ ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლისათვის შექმნილ კოალიციასთან, მაგრამ მსგავსი ინციდენტები აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენთვის და გაფრთხილებთ, რომ თუ მსგავსი ინციდენტი კვლავ განმეორდა, ჩვენ არ გვჭირდება თანამშრომლობა არცერთ კოალიციასა თუ ქვეყანასთან, - განაცხადა პუტინმა.

მან თურქეთის საქციელს ღალატი უწოდა და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევამდე რუსეთი თურქეთს მეგობრად თვლიდა. ფრანსუა ოლანდმა შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა თანამდებობა უნდა დატოვოს. ვლადიმერ პუტინმა კი, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ასადის არმია "მოკავშირეა ტერორიზმთან ბრძოლაში".

საფრანგეთმა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება 13 ნოემბერს განხორციელებული ტერაქტების შემდეგ გადაწყვიტა.

## ერდოღანი: „ბოდიშს არ მოვიხდი!“



ვლადიმერ პუტინმა თურქული მხარის მიერ ჩამოგდებული თვითმფრინავის გამო ბოდიშის მოხდა მოითხოვა. თურქეთის პრეზიდენტმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა:

– ჩვენ მართლები ვართ და საბოდიშო არაფერი გვჭირს, – თქვა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ მომავალშიც ჩამოაგდებენ ყველა თვითმფრინავს, რომელიც თურქეთის საჰაერო სივრცეში შეიჭრება.

ამავე დროს, თურქეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რუსეთთან დიალოგის მომხრეა.

– მალე პარიზში დედამიწაზე კლიმატის შეცვლასთან დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება. მას მეც დავესწრები და ვლადიმერ პუტინიც. მზად ვარ, რუსეთის პრეზიდენტს შევხვდე და ყველა პრობლემა დიალოგის გზით მოვაგვაროთ, – ამბობს ერდოღანი.

პუტინის პრესმდივანი პესკოვი კი ამბობს, რომ 30 ნოემბერს პარიზის კონფერენციაზე პუტინის ერდოღანთან შეხვედრა არ იგეგმება.

## მიხეილ ხოდორკოვსკი: „პუტინს რუსეთი კატასტროფისაკენ მიჰყავს!“




ცნობილი რუსი ოლიგარქი და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ ხოდორკოვსკი მიიჩნევს, რომ პუტინს რუსეთი კატასტროფისკენ მიჰყავს.

– ქვეყანაში ბიზნესი არ ვითარდება, ეკონომიკა ეცემა. ასეთ სიტუაციაში სამხედრო ავანტიურების წამოწყება თვითმკვლელობის ტოლფასია, – მიიჩნევს ხოდორკოვსკი.

მისი აზრით, თუ ასე გაგრძელდა, რუსეთს ახალი პუგაჩოვშჩინა და დაშლა მოელის.

– ეს უკვე უახლოესი მომავლის საქმეა, – ამბობს ოლიგარქი.

ხოდორკოვსკი გამოსავალს მხოლოდ პუტინის წასვლაში ხედავს.

– კრიზისი თავის პიკს უახლოესი 5-8 წლის განმავლობაში მიაღწევს. თუ პუტინი უფრო ადრე წავა, რუსეთი გადარჩება; თუ პუტინი დარჩება, რუსეთი დაიშლება, – აცხადებს ხოდორკოვსკი.

## რუსები ანკარის დაბომბვას ითხოვენ



რუსეთის პრემიერმა მედვედევმა განაცხადა, რომ ამიერიდან თურქებისთვის რუსული ბაზარი დაიხურება. სავარაუდოდ, აღარ განხორციელდება პროექტი „ჩრდილოეთის ნაკადი,“ რომელიც უკრაინის გვერდის ავლით ევროპისთვის გაზის მიწოდებას ითვალისწინებდა.

– მომხდარის შემდეგ თურქეთი გამოიკვეთა, როგორც მტრული სახელმწიფო. ასეთ ქვეყანასთან რაიმე სახის თანამშრომლობა გამორიცხულია! – აცხადებს მედვედევი.

თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ მთელ რუსეთში ანტითურქული ფსიქოზი დაიწყო. მოსკოვში თურქეთის საელჩოსთან სისტემატურად იკრიბება ბრბო, რომელიც საელჩოს შენობას კვერცხებს ესვრის და სკანდირებს: „სიკვდილი თურქებს!“

ანტითურქული აქციები რუსეთის სხვა ქალაქებშიც არ წყდება. პეტერბურგში აგრესიულმა ბრბომ თურქეთის საკონსულოსთან მიტინგი გამართა, შემდეგ კი თურქეთის დროშა დაწვა.

ულიანოვსკში თურქული საწარმოს შენობიდან თურქეთის დროშა ჩამოხსნეს და მის ნაცვლად რუსეთის სადესანტო ჯარების ბაირაღი აღმართეს.

– მოვითხოვთ ანკარის დაბომბვას! სიკვდილი თურქებს! – სკანდირებდნენ დემონსტრანტები.

## ყირიმში ისევ წყვდიადია

ყირიმის ენერგობლოკადა გრძელდება. რიგ ქალაქებში (სიმფეროპოლი, ქერჩი, სევასტოპოლი და ა.შ.) ელექტროდენზე გრაფიკი შემოიღეს, თუმცა ეს გრაფიკები არ სრულდება. უკმაყოფილო მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა.

ისინი წვავენ საბურავებს, ანთებენ კოცონებს, რათა გათბნენ.

გაჩნდა ბენზინის დეფიციტი. ბენზინის გასამართ სადგურებთან უზარმაზარი რიგებია. ხშირია ჩხუბი. რამდენჯერმე შეხლა-შემოხლის დროს ცეცხლსასროლი იარაღიც იქნა გამოყენებული.




რუსეთის მხრივ ძალის დემონსტრირებას შედეგი არ მოჰყოლია. უკრაინის სასაზღვრო პუნქტისკენ მედესანტეები და სამხედრო ტექნიკა გადაისროლეს. პასუხად უკრაინულმა მხარემ საზღვრის დაცვა გააძლიერა.

კიევში ხრეშჩატიკზე გაიმართა იმ უკრაინელი აქტივისტებისა და ყირიმელი თათრების მხარდამჭერი მიტინგი, რომლებმაც ყირიმში ელექტროენერგიის მიწოდება ჩაშალეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 2. გადახურული სავაჭრო მოედანი ძველ თბილისში; 3. პურეული მცენარე; 5. ძალიან შავი თმა; 6. კინოსა და თეატრის ცნობილი ქართველი მსახიობი ქალი; 8. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში; 10. ერთადგილიანი, მოტორიანი სპორტული ნავი; 12. პროვინციის მმართველი სპარსეთში, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა; 14. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. უბანი თბილისში; 16. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი.

**თარაზულად:** 1. სულელი, ჩერჩეტი ადამიანი; 4. ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ზედა მოსაცმელი; 7. ისრაელის პრეზიდენტი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. ახლად ამოსული პურის ყანა; 11. ერთ-ერთი კონტინენტი; 12. პატარა ქირურგიული დანა; 13. კომბინაცია პოკერში; 17. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 18. ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 19. მომავლის რწმენა; 20. აეროპორტი ბუდაპეშტში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**




# განცხადებები

### ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

### მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

### იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

# ევროპული უიქ ენდის მოლოდინში

## სტატისტიკა, ფსონები




მომავალი უქმეები ევროპაში ისეთი მატჩებით არ არის დატვირთული, ყოველთვის დიდი აჟიოტაჟი რომ მოჰყვება. თუმცა, არის რამდენიმე გამორჩეული მატჩი: ინგლისში ლონდონური დერბი — ტოტენჰემი-ჩელსი, ესპანეთში კი მოქიშპე მეტოქეები, სევილია და ვალენსია შეებმებიან ერთმანეთს. ასევე შესაძლოა გამოვარჩიოთ ლევერკუზენი-შალკე (გერმანია), ნაპოლი-ინტერი (იტალია) და მარსელი-მონაკო (საფრანგეთი).

### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.11 | ბორნმუთი-ევერტონი | 2.9 | 3.3 | 2.45 |
| 28.11 | სიტი-საუთჰემპტონი | 1.53 | 4.2 | 6.0 |
| 28.11 | ასტონ ვილა-უოტფორდი | 2.62 | 3.1 | 2.8 |
| 28.11 | სანდერლენდი-სტოკი | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 28.11 | კრ.პალასი-ნიუკასლი | 1.75 | 3.6 | 4.8 |
| 28.11 | ლესტერი-მანჩესტერი | 3.1 | 3.3 | 2.3 |
| 29.11 | ტოტენჰემი-ჩელსი | 2.45 | 3.25 | 2.9 |
| 29.11 | ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 2.0 | 3.25 | 4.0 |
| 29.11 | ლივერპული-სუონსი | 1.44 | 4.33 | 7.5 |
| 29.11 | ნორვიჩი-არსენალი | 5.5 | 4.0 | 1.6 |

**ბორნმუთი-ევერტონი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-კალუმ უილსონი, ტომი ელპიკი, ტაირონ მინგსი, მაქს გრადელი

ევერტონი: ***ტრავმ***-ფილ იაგიელკა

**სიტი-საუთჰემპტონი**

სიტი: ***ტრავმ***-ელაქუიმ მანგალა, პაბლო ზაბალეტა, სამირ ნასრი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ჯეი როდრიგესი; ***დისკვ***-გრაციანო პელე

**ასტონ ვილა-უოტფორდი**

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-არავინ

უოტფორდი: ***ტრავმ***-სებასტიან პროდი

**სანდერლენდი-სტოკი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***-ჯერმეინ დეფო; ***დისკვ***-ბილი ჯოუნსი

სტოკი: ***ტრავმ***-ჰერდან შაქირი

**კრ.პალასი-ნიუკასლი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ბაქარი საკო, დუაიტ გილი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ისმაილ ტიოტე, როლანდო აარონსი, ჯეკ კოლბეკი, ტიმ კრული, გაბრიელ ობერტანი, სტივენ ტეილორი

**ლესტერი-მანჩესტერი**

ლესტერი: ***ტრავმ***-არავინ

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ფილ ჯონსი, ანდერ ერერა, ანტონიო ვალენსია, ლუკ შოუ

**ტოტენჰემი-ჩელსი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ნასერ ჩადლი, ალექს პრიჩარდი; ***დისკვ***-დელე ალი

ჩელსი: ***ტრავმ***-რამირესი, ჯონ ტერი, ტიბო კურტუა

**ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ენერ ვალენსია, დიმიტრი პოე; ***დისკვ***-მარკ ნობლე, ჯეიმს კოლინზი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-კრის ბრუნტი

**ლივერპული-სუონსი**

ლივერპული: ***ტრავმ***-მამადუ სახო, დანი ინგსი, ჯოზეფ გომესი, ჯორდან ჰენდერსონი

სუონსი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ჯონჯო შელვი

**ნორვიჩი-არსენალი**

ნორვიჩი: ***ტრავმ***-მეთიუ იარვისი

არსენალი: ***ტრავმ***-მიკელ არტეტა, ტეო უოლკოტი, ჯეკ უილშირი, დანი უელბეკი, ტომაშ როსიცკი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 13 | 8 | 4 | 1 | 28-20 | 28 |
| 2.მანჩესტერი | 13 | 8 | 3 | 2 | 19-9 | 27 |
| 3.სიტი | 13 | 8 | 2 | 3 | 27-13 | 26 |
| 4.არსენალი | 13 | 8 | 2 | 3 | 23-11 | 26 |
| 5.ტოტენჰემი | 13 | 6 | 6 | 1 | 24-11 | 24 |
| 6.ვესტ ჰემი | 13 | 6 | 3 | 4 | 24-20 | 21 |
| 7.ევერტონი | 13 | 5 | 5 | 3 | 24-16 | 20 |
| 8.საუთჰემპტონი | 13 | 5 | 5 | 3 | 19-14 | 20 |
| 9.ლივერპული | 13 | 5 | 5 | 3 | 17-15 | 20 |
| 10.კრ.პალასი | 13 | 6 | 1 | 6 | 14-13 | 19 |
| 11.სტოკი | 13 | 5 | 4 | 4 | 11-12 | 19 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 13 | 5 | 2 | 6 | 12-17 | 17 |
| 13.უოტფორდი | 13 | 4 | 4 | 5 | 12-14 | 16 |
| 14.სუონსი | 13 | 3 | 5 | 5 | 14-18 | 14 |
| 15.ჩელსი | 13 | 4 | 2 | 7 | 17-23 | 14 |
| 16.ნორვიჩი | 13 | 3 | 3 | 7 | 16-24 | 12 |
| 17.ნიუკასლი | 13 | 2 | 4 | 7 | 13-25 | 10 |
| 18.სანდერლენდი | 13 | 2 | 3 | 8 | 14-26 | 9 |
| 19.ბორნმუთი | 13 | 2 | 3 | 8 | 14-27 | 9 |
| 20.ასტონ ვილა | 13 | 1 | 2 | 10 | 10-24 | 5 |

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.11 | ბარსელონა-სოსიედადი | 1.08 | 11.0 | 23.0 |
| 28.11 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.25 | 5.5 | 13.0 |
| 28.11 | მალაგა-გრანადა | 1.8 | 3.4 | 4.75 |
| 28.11 | ლას პალმასი-დეპორტივო | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 28.11 | სელტა-ხიხონი | 1.36 | 5.0 | 8.0 |
| 29.11 | ხეტაფე-ვილიარეალი | 3.2 | 3.2 | 2.3 |
| 29.11 | ეიბარი-რეალი | 8.0 | 4.5 | 1.4 |
| 29.11 | რაიო-ბილბაო | 3.0 | 3.25 | 2.37 |
| 29.11 | სევილია-ვალენსია | 1.8 | 3.75 | 4.2 |

**ბარსელონა-სოსიედადი**

ბარსელონა: ***ტრავმ***-დუგლას პერეირა, რაფინია

სოსიედადი: ***ტრავმ***-ჯონატასი, დავიდ ზურუტუზა; ***დისკვ***-ასიერ ილარამენდი

**ატლეტიკო-ესპანიოლი**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-გაბი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-სალვა სევილია; ***დისკვ***-ვიქტორ სანჩესი

**მალაგა-გრანადა**

მალაგა: ***ტრავმ***-იგნასიო კამაჩო

გრანადა: ***ტრავმ***-მიგელ ლოპესი; ***დისკვ***-რუბენ პერესი

**ლას პალმასი-დეპორტივო**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ხავი კასტელანო

დეპორტივო: ***ტრავმ***-ცელსი ბორხესი

**სელტა-ხიხონი**

სელტა: ***ტრავმ***-ნემანია რადიოა; ***დისკვ***-ჯონი კასტრო

ხიხონი: ***ტრავმ***-სერხიო ალვარესი

**ხეტაფე-ვილიარეალი**

ხეტაფე: ***ტრავმ***-ალვარო მედრანი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-დანიელე ბონერა, ლეო ბაპტისტაო, ადრიანი, სერხიო ასენხო; ***დისკვ***-რობერტო სოლდადო

**ეიბარი-რეალი**

ეიბარი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-კეკო გონტანი

რეალი: ***ტრავმ***-მარსელო, სერხიო რამოსი, ბორხა მაიორალი; ***დისკვ***-ისკო

**რაიო-ბილბაო**

რაიო: ***ტრავმ***-რაზვან რაცი, ტონო

ბილბაო: ***ტრავმ***-არავინ

**სევილია-ვალენსია**

სევილია: ***ტრავმ***-მარკო ანდრეოლი, გაელ კაკუტა, ბეტო, დანიელ კარიკო

ვალენსია: ***ტრავმ***-შკოდრან მუსტაფი, ალვარო ნეგრედო, როდრიგო მორენო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 12 | 10 | 0 | 2 | 29-12 | 30 |
| 2.ატლეტიკო | 12 | 8 | 2 | 2 | 17-6 | 26 |
| 3.რეალი | 12 | 7 | 3 | 2 | 26-11 | 24 |
| 4.ვილიარეალი | 12 | 6 | 3 | 3 | 16-12 | 21 |
| 5.სელტა | 12 | 6 | 3 | 3 | 22-20 | 21 |
| 6.ეიბარი | 12 | 5 | 5 | 2 | 17-12 | 20 |
| 7.ვალენსია | 12 | 5 | 4 | 3 | 17-9 | 19 |
| 8.დეპორტივო | 12 | 4 | 6 | 2 | 18-13 | 18 |
| 9.ბილბაო | 12 | 5 | 2 | 5 | 18-16 | 17 |
| 10.ესპანიოლი | 12 | 5 | 1 | 6 | 14-23 | 16 |
| 11.სევილია | 12 | 4 | 3 | 5 | 17-18 | 15 |
| 12.ბეტისი | 12 | 4 | 3 | 5 | 11-17 | 15 |
| 13.რაიო | 12 | 4 | 2 | 6 | 14-20 | 14 |
| 14.სოსიედადი | 12 | 3 | 3 | 6 | 14-14 | 12 |
| 15.ხიხონი | 12 | 3 | 3 | 6 | 11-18 | 12 |
| 16.ხეტაფე | 12 | 3 | 2 | 7 | 12-19 | 11 |
| 17.გრანადა | 12 | 2 | 4 | 6 | 13-20 | 10 |
| 18.ლას პალმასი | 12 | 2 | 4 | 6 | 10-17 | 10 |
| 19.ლევანტე | 12 | 2 | 4 | 6 | 10-23 | 10 |
| 20.მალაგა | 12 | 2 | 3 | 7 | 5-11 | 9 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.11 | მაინცი-აინტრახტი | 2.2 | 3.5 | 3.1 |
| 28.11 | ჰოფენჰაიმი-გლადბახი | 3.1 | 3.5 | 2.2 |
| 28.11 | ჰანოვერი-ინგოლშტადი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 28.11 | ბაიერნი-ჰერტა | 1.08 | 10.0 | 26.0 |
| 28.11 | ვერდერი-ჰამბურგი | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 29.11 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 1.22 | 7.0 | 10.0 |
| 29.11 | ლევერკუზენი-შალკე | 1.61 | 4.2 | 5.0 |
| 29.11 | აუგსბურგი-ვოლფსბურგი | 3.1 | 3.5 | 2.2 |

**მაინცი-აინტრახტი**

მაინცი: ***ტრავმ***-ფაბიან ფრეი

აინტრახტი: ***ტრავმ***-მარკო რუსი

**ჰოფენჰაიმი-გლადბახი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-არავინ

გლადბახი: ***ტრავმ***-ალვარო დომინგესი, ანდრე ჰანი, ნიკო შულცი, პატრიკ ჰერმანი, მარტინ შტრანცლი

**ჰანოვერი-ინგოლშტადი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ჰიროში კიოკატე, ჩარლისონ ბენშოპი

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-არავინ

**ბაიერნი-ჰერტა**

ბაიერნი: ***ტრავმ***-ტიაგო ალკანტარა, ხუან ბერნატი, მარიო გიოტცე, ფრანკ რიბერი

ჰერტა: ***ტრავმ***-მიჩელ ვეიზერი, ნიკლას სტარკი, ტომას კრაფტი, პეტერ პეკარიკი

**ვერდერი-ჰამბურგი**

ვერდერი: ***ტრავმ***-სანტიაგო გარსია, თეოდორ გებრე სელასიე, მელვინ ლორენცენი, ლუკას ფროდე, არონ იოჰანსონი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-მარსელო დიასი, ნიკოლაი მიულერი, დენის დეკმაიერი, ალბინ ეკდალი, აარონ ჰანტი, ანდრეას ჰირცელი

**დორტმუნდი-შტუტგარტი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ნური შაჰინი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-მარტინ ჰანრიკი, დანიელ გინსეკი

**ლევერკუზენი-შალკე**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ლარს ბენდერი, ტინ იედვაი, რობერტო ჰიბერტი

შალკე: ***ტრავმ***-პელიქს პლატე, მარკო ჰოგერი, მატია ნასტასიჩი

**აუგსბურგი-ვოლფსბურგი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-მარკუს ფელნერი, ტობიას ვერნერი, ჰონგ იოჰნ-ჰო

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-რიკარდო როდრიგესი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 13 | 12 | 1 | 0 | 40-5 | 37 |
| 2.დორტმუნდი | 13 | 9 | 2 | 2 | 36-18 | 29 |
| 3.ვოლფსბურგი | 13 | 7 | 3 | 3 | 23-15 | 24 |
| 4.ჰერტა | 13 | 7 | 2 | 4 | 18-15 | 23 |
| 5.გლადბახი | 13 | 7 | 1 | 5 | 25-19 | 22 |
| 6.ლევერკუზენი | 13 | 6 | 2 | 5 | 17-17 | 20 |
| 7.შალკე | 13 | 6 | 2 | 5 | 17-19 | 20 |
| 8.ინგოლშტადტი | 13 | 5 | 4 | 4 | 10-10 | 19 |
| 9.კიოლნი | 13 | 5 | 4 | 4 | 15-18 | 19 |
| 10.ჰამბურგი | 13 | 5 | 3 | 5 | 14-17 | 18 |
| 11.მაინცი | 13 | 5 | 2 | 6 | 18-19 | 17 |
| 12.აინტრახტი | 13 | 3 | 5 | 5 | 17-20 | 14 |
| 13.დარმშტადტი | 13 | 3 | 5 | 5 | 14-19 | 14 |
| 14.ვერდერი | 13 | 4 | 1 | 8 | 13-25 | 13 |
| 15.ჰანოვერი | 13 | 3 | 2 | 8 | 13-24 | 11 |
| 16.შტუტგარტი | 13 | 3 | 1 | 9 | 17-31 | 10 |
| 17.აუგსბურგი | 13 | 2 | 3 | 8 | 17-25 | 9 |
| 18.ჰოფენჰაიმი | 13 | 1 | 5 | 7 | 12-20 | 8 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.11 | ტორინო-ბოლონია | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 28.11 | მილანი-სამპდორია | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| 29.11 | კიევო-უდინეზე | 2.1 | 3.2 | 3.75 |
| 29.11 | ფროზინონე-ვერონა | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 29.11 | რომა-ატალანტა | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 29.11 | გენოა-კარპი | 1.6 | 3.75 | 6.0 |
| 29.11 | ემპოლი-ლაციო | 3.0 | 3.25 | 2.37 |
| 29.11 | პალერმო-იუვენტუსი | 6.0 | 3.75 | 1.6 |
| 30.11 | სასუოლო-ფიორენტინა | 3.6 | 3.3 | 2.1 |
| 30.11 | ნაპოლი-ინტერი | 1.73 | 3.8 | 4.6 |

**ტორინო-ბოლონია**

ტორინო: ***ტრავმ***-მარკო ბენასი, ჯოელ ობი, ნიკოლა მაკსიმოვიჩი

ბოლონია: ***ტრავმ***-ემილ კრაფტი; ***დისკვ***-მატია დესტრო

**მილანი-სამპდორია**

მილანი: ***ტრავმ***-ნაიჯელ დე იონგი, დიეგო ლოპესი, მარიო ბალოტელი, ჯერემი მენეზე

სამპდორია: ***ტრავმ***-ხოაკიმ კორეა, ანდრეა კოდა; ***დისკვ***-ერვინ ზუკანოვიჩი

**კიევო-უდინეზე**

კიევო: ***ტრავმ***-ფედერიკო მატიელო

უდინეზე: ***ტრავმ***-პანაგიოტის კონე, დუვან ზაპატა, ალექსანდერ მერკელი

**ფროზინონე-ვერონა**

ფროზინონე: ***ტრავმ***-ადრიანო რუსო

ვერონა: ***ტრავმ***-რაფაელ მარკესი, ფედერიკო ვივიანი, მიქელანჯელო ალბერტაზი, რომულო

**რომა-ატალანტა**

რომა: ***ტრავმ***-ჟერვინიო, მოჰამედ სალა, ფრანჩესკო ტოტი, კევინ სტროოტმანი

ატალანტა: ***ტრავმ***-ბაქარი დრამე

**ჯენოა-კარპი**

ჯენოა: ***ტრავმ***-ეზეკიელ მუნიოსი, ჯოვანი მარკეზე; ***დისკვ***-დიეგო პეროტი

კარპი: ***ტრავმ***-იგორ ბუბნიჩი, მატეო ფედელე

**ემპოლი-ლაციო**

ემპოლი: ***ტრავმ***-ლევან მჭედლიძე, დანიელე კროკე

ლაციო: ***ტრავმ***-ოგენი ონაზი, სტეფანო მაური, სტეფან დე ვრეი; ***დისკვ***-სანტიაგო ჯენტილეტი

**პალერმო-იუვენტუსი**

პალერმო: ***ტრავმ***-რობერტო ვიტიელო, უროს ჯურჯევიჩი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-სამი ჰედირა, ერნანესი, სიმონე პადოინი, რობერტო პერეირა, კვადვო ასამოა

**სასუოლო-ფიორენტინა**

სასუოლო: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-დომენიკო ბერარდი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-იაკუბ ბლაჩიკოვსკი

**ნაპოლი-ინტერი**

ნაპოლი: ***ტრავმ***-მანოლო გაბიადინი, დრის მერტენსი

ინტერი: ***ტრავმ***-ნემანია ვიდიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 13 | 9 | 3 | 1 | 16-7 | 30 |
| 2.ნაპოლი | 13 | 8 | 4 | 1 | 24-8 | 28 |
| 3.ფიორენტინა | 13 | 9 | 1 | 3 | 26-11 | 28 |
| 4.რომა | 13 | 8 | 3 | 2 | 29-15 | 27 |
| 5.სასუოლო | 13 | 6 | 4 | 3 | 15-12 | 22 |
| 6.იუვენტუსი | 13 | 6 | 3 | 4 | 17-11 | 21 |
| 7.მილანი | 13 | 6 | 2 | 5 | 15-17 | 20 |
| 8.ლაციო | 13 | 6 | 1 | 6 | 17-21 | 19 |
| 9.ტორინო | 13 | 5 | 3 | 5 | 18-18 | 18 |
| 10.ატალანტა | 13 | 5 | 3 | 5 | 13-15 | 18 |
| 11.კიევო | 13 | 4 | 4 | 5 | 16-13 | 16 |
| 12.სამპდორია | 13 | 4 | 4 | 5 | 19-18 | 16 |
| 13.ჯენოა | 13 | 4 | 4 | 5 | 14-17 | 16 |
| 14.პალერმო | 13 | 4 | 3 | 6 | 13-17 | 15 |
| 15.უდინეზე | 13 | 4 | 3 | 6 | 11-15 | 15 |
| 16.ემპოლი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-20 | 15 |
| 17.ბოლონია | 13 | 4 | 1 | 8 | 13-17 | 13 |
| 18.ფროზინონე | 13 | 3 | 2 | 8 | 11-22 | 11 |
| 19.ვერონა | 13 | 0 | 6 | 7 | 8-21 | 6 |
| 20.კარპი | 13 | 1 | 3 | 9 | 11-26 | 6 |

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.11 | პსჟ-ტრუა | 1.11 | 8.5 | 23.0 |
| 28.11 | გაზელეკი-ლორიანი | 2.9 | 3.1 | 2.5 |
| 28.11 | ანჟე-ლილი | 3.0 | 2.75 | 2.75 |
| 28.11 | რეიმსი-რენი | 2.8 | 3.1 | 2.62 |
| 28.11 | ნანტი-ბასტია | 1.91 | 3.1 | 4.75 |
| 28.11 | ტულუზა-ნიცა | 2.3 | 2.3 | 3.1 |
| 29.11 | სტ.ეტიენი-გენგამი | 1.73 | 3.6 | 5.0 |
| 29.11 | ბორდო-კაენი | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 29.11 | მარსელი-მონაკო | 2.0 | 3.4 | 3.8 |

**პსჟ-ტრუა**

პსჟ: ***ტრავმ***-ანხელ დი მარია, ეზეკიელ ლაველცი, დავიდ ლუიზი, მარკო ვერატი, ხავიერ პასტორე

ტრუა: ***ტრავმ***-კვენტინ ოტონი, მეტიუ სონი, მორი კონე

**გაზელეკი-ლორიანი**

გაზელეკი: ***ტრავმ***-ალასანე ტურე

ლორიანი: ***ტრავმ***-რაფიდინე აბდულა

**ანჟე-ლილი**

ანჟე: ***ტრავმ***-არნოლდ ბოკა, ფერებორი დორე

ლილი: ***ტრავმ***-მუნირ ობადი

**რეიმსი-რენი**

რეიმსი: ***ტრავმ***-ჯონ პლასიდე, ატილა თურანი, ფრედერიკ ბულო, პრინც ონიანგუე, ანტუან კონტე

რენი: ***ტრავმ***-ჩეიკ მბენგუე, პოლ ნტეპი, ედსონ მექსე

**ნანტი-ბასტია**

ნანტი: ***ტრავმ***-ვალენტინ რონგიერი

ბასტია: ***ტრავმ***-ფრანსუა კამანო, კრისტოფერ მაბულუ, ალექსანდერ ჯიკუ

**ტულუზა-ნიცა**

ტულუზა: ***ტრავმ***-ტონგო დუმბია

ნიცა: ***ტრავმ***-მაჰამანე ტრაორე, მიშელ ლე ბიანი, ალასანე პლეა, სიმონ პუპლინი

**სტ.ეტიენი-გენგამი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-მუსტაფა სალი, ჯონათან ბამბა, კევინ ტეოფილე

გენგამი: ***ტრავმ***-ტობი გირე, ბროუ ანგუა, მანა დემბელე, მაქსინ ბაკა

**ბორდო-კაენი**

ბორდო: ***ტრავმ***-ტომას ტურე, გრეგუარ სერტიკი

კაენი: ***ტრავმ***-ერვე ბაზილე, ემანუელ იმორუ

**მარსელი-მონაკო**

მარსელი: ***ტრავმ***-რომან ალესანდრინი, ბრის ჯა ჯეჯე, აბუ დიაბი

მონაკო: ***ტრავმ***-ადამა ტრაორე, ნაბილ დირარი, ივან კავალიერო, ტიემუ ბაკაიოკო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 14 | 12 | 2 | 0 | 33-7 | 38 |
| 2.ლიონი | 14 | 7 | 4 | 3 | 19-10 | 25 |
| 3.კაენი | 14 | 8 | 1 | 5 | 14-14 | 25 |
| 4.ნიცა | 14 | 7 | 3 | 4 | 30-17 | 24 |
| 5.ანჟე | 14 | 6 | 5 | 3 | 12-9 | 23 |
| 6.მონაკო | 14 | 6 | 5 | 3 | 18-18 | 23 |
| 7.სტ.ეტიენი | 14 | 7 | 1 | 6 | 17-19 | 22 |
| 8.რენი | 14 | 5 | 6 | 3 | 19-16 | 21 |
| 9.ლორიანი | 14 | 5 | 5 | 4 | 23-20 | 20 |
| 10.გენგამი | 14 | 5 | 4 | 5 | 15-17 | 19 |
| 11.ნანტი | 14 | 6 | 1 | 7 | 12-15 | 19 |
| 12.მარსელი | 14 | 5 | 3 | 6 | 20-14 | 18 |
| 13.ბორდო | 14 | 4 | 6 | 4 | 19-21 | 18 |
| 14.მონპელიე | 14 | 4 | 3 | 7 | 14-17 | 15 |
| 15.რეიმსი | 14 | 4 | 3 | 7 | 13-17 | 15 |
| 16.გაზელეკი | 14 | 4 | 3 | 7 | 13-18 | 15 |
| 17.ლილი | 14 | 2 | 8 | 4 | 8-9 | 14 |
| 18.ბასტია | 14 | 4 | 2 | 8 | 15-21 | 14 |
| 19.ტულუზა | 14 | 1 | 6 | 7 | 12-28 | 9 |
| 20.ტრუა | 14 | 0 | 5 | 9 | 7-26 | 5 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# TV პროგრამა

## ორშაბათი 30 ნოემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "არქიტექტურა" 14.05 მხ/ფ **"ტყუპები"** 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ქესლი"** 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 ტ/სერ. **"ბანქოს სახლი"** 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 23.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ **"კეთილი იყოს შენი დაბრუნება როსკო ჯენკინს"** 03.10 "კომუნიკატორი"

08.00 დოკ/ფ "ალენ ბაშუნგი" 09.00 დოკ/ფ "ალის პირისპირ" 10.30 დოკ/ფ "ვენეცია" 11.00 ქართ. მხ/ფ **"თეთრი ქარავანი"** 12.30 დოკ/ფ "ვიეტნამი" 13.00 დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. **"რობინ ჰუდის თავგადასავალი"** 07.00 სერ. **"კარმა"** 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"გზაჯვარედინი"** 11.20 სერ. **"რჩეული"** 1 სერ. 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"დაკარგული წლები"** 18.45, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00, 23.00 სერ. **"შუა ქალაქში - 10"** 00.00 მხ/ფ **"ფართო ნაბიჯით"** (დ.ჯონსონი) 01.50 მხ/ფ **"ნონ-სტოპი"** (ჯ.მური)

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"ინდური საგა"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 ნიჭიერი 00.00 სპორტ ტაიმი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია "აფხაზეთის საკითხი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში" 06.35 პატერიკი "მორჩილების ძალა" 06.45 ქართული ალბომი "სუჟაშვილი-მაგათი მადლითა და ძალით ვართ, ვცოცხლობთ..." 07.10 დ/ფ "ღირს არს ჭეშმარიტად" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს. პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ **"გამოაღეთ ფანჯრები"** 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.35 ბავშვები მუზეუმში 15.50 სპექტაკლი **"კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა"** 16.40 დ/ფ 17.10 კონცერტი 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** I სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატერიკი 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 თვენი "მიქაელ გობრონი" 22.45 საქართველოს სამართლის ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 საუკუნის პორტრეტები-გ. ცაბაძე 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

**მაესტრო**

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ქვესტის სამყარო" (ქუსტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. **"სხვისი სხეული"** 11.05 სერ. **"ქუზეი და გუნეი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05 სერ. **"დაკარგული დრო"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სამედიცინო "პულსი" 16.05, 1.00 სერ. **"ტატიანა"** 17.05, 2.20 სერ. **"სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. **"ნადირობა"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. **"ბანდიტების დედოფალი"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. **"ბელადის ვაჟი"**

## სამშაბათი 1 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "არქიტექტურა" 14.05 მხ/ფ **"სილარიბესა და სიმდიდრეში"** 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ქესლი"** 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 21.00 ტ/სერ. **"ბანქოს სახლი"** 22.00 "კომუნიკატორი" 23.00 მხ/ფ **"მიწისძვრა"** (ა.გარდნერი) 01.40 მოამბე 01.50 მხ/ფ **"აიდლვაილდი"**

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 "აფხაზეთი" 11.00 დოკ/ფ "ბერები ლაბორატორიაში" 13.00 დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 17.30 "თავისუფალი ტრიბუნა" 18.30 **ფეხბურთი** – მსოფლიო ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩი: **საქართველო – რუმინეთი** 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. **"რობინ ჰუდის თავგადასავალი"** 07.00 სერ. **"კარმა"** 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"გზაჯვარედინი"** 11.20 სერ. **"რჩეული"** 2 სერ. 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"დაკარგული წლები"** 18.45, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00 Voice - საქართველო 00.00 ილო ბეროშვილის შოუ 01.00 მხ/ფ **"დრაკონების აკლდამა"** (ს.ედკინსი) 02.50 მხ/ფ **"კეთილი ჯონი"** (ა.საიფრედი)

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"ინდური საგა"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.10 სპექტაკლი **"კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა"** 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი "რა არის ბედნიერება" 10.40 საქართველოს ქალაქები-თელავი II ნაწ. 11.10 თაობა ზეტი 2X5 11.30 გამოყენებითი ხელოვნება 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** I სერ. 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "პიონი-იორდასალამი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 საუკუნის პორტრეტები -გ. ცაბაძე 16.30 მგზავრები წუთისოფლისა "სამაჩაბლო" 17.10 მოკ. მხ/ფ **"აღგილის დედა"** 17.45 სიბრძნისმეტყველება 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქართული ხმები-მთიები (გარაყანიძე) 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი "ცხინვალის რეგიონის წერილობითი ძეგლები" 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 ისტორიის დღიური 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

**მაესტრო**

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ქვესტის სამყარო" (ქუსტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 3.00 სერ. **"სხვისი სხეული"** 11.05 სერ. **"ქუზეი და გუნეი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05 სერ. **"დაკარგული დრო"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 "თეკუნას კულინარიუმი" 16.05, 1.30 სერ. **"ტატიანა"** 17.05, 2.15 სერ. **"სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. **"ნადირობა"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. **"ბანდიტების დედოფალი"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. **"ბელადის ვაჟი"**

## ოთხშაბათი 2 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.40 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "არქიტექტურა" 14.05 მხ/ფ **"არაბესკა"** (ს.ლორენი) 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ქესლი"** 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 ტ/სერ. **"ბანქოს სახლი"** 22.00 "კომუნიკატორი" 23.00 მხ/ფ **"ამაოების ბაზარი"** 01.50 მხ/ფ **"უკანასკნელი დაქორწინებული წყვილი ამერიკაში"** (ნ.ვუდი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. **"რობინ ჰუდის თავგადასავალი"** 07.00 სერ. **"კარმა"** 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"გზაჯვარედინი"** 11.20 სერ. **"რჩეული"** 3 სერ. 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"დაკარგული წლები"** 18.45, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სტუმრად იუმორინასთან 00.30 მხ/ფ **"წითელი სისხლი"** (ჯ.ბელუში) 02.20 მხ/ფ **"მითი"**

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"ინდური საგა"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 ნანუკას შოუ 23.30 გააცინე და მოიგე 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 ქრისტიანული ხელოვნება 11.15 ბავშვები მუზეუმში 11.30 დ/ფ "ეზო" (დიდუბის ტაძარი) 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ისტორიის გაკვეთილი 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კავკასიური სოჭი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 16.20 კონცერტი 17.00 თვენი "ღირსი მამა ილარიონ ქართველი" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** II სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35, 00.30 დ/ფ 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

**მაესტრო**

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ქვესტის სამყარო" (ქუსტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 3.00 სერ. **"სხვისი სხეული"** 11.05 სერ. **"ქუზეი და გუნეი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05 სერ. **"დაკარგული დრო"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 დოკ. ფილმი "პროფესია მოგზაური" 16.05, 1.30 სერ. **"ტატიანა"** 17.05, 2.15 სერ. **"სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. **"ნადირობა"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. **"ბანდიტების დედოფალი"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. **"ბელადის ვაჟი"**

## ხუთშაბათი 3 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "არქიტექტურა" 14.05 მხ/ფ **"გულის მოგზაურობა"** 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ქესლი"** 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 21.00 ტ/სერ. **"ბანქოს სახლი"** 22.00 მხ/ფ **"უდაოდ ალბათ"** 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ **"კაცობრიობის შვილი"** (კ.ოუენი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 11.00 დოკ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" 13.00 დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. **"რობინ ჰუდის თავგადასავალი"** 07.00 სერ. **"კარმა"** 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50, ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"გზაჯვარედინი"** 11.20 სერ. **"რჩეული"** 4 სერ. 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"დაკარგული წლები"** 18.45, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 ერთხელ საქართველოში 00.30 მხ/ფ **"ბრონქსის ისტორია"** (ჩ.პალმინტერი) 03.00 მხ/ფ **"წითელი სისხლი"** (ლ.ფიშბერნი)

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"ინდური საგა"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 პროფილი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.15 ჩვენი ფონდი 06.40 პატერიკი 06.50 დეკორატიული ფლორა "კავკასიური სოჭი" 07.05 ქართული ალბომი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** II სერ. 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ურთხმელი" 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე (ნანა ჩაჩუა) 16.10 დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 16.55 დიდ ხარ შენ უფალო-მოციქულები 17.35 ჩვენი ფონდი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები 20.20 დ/ფ "ერთი დღე რესტავრატორებთან" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ლექციები მეფუტკრეობაზე 22.25 სალბუნი-"ევთანაზია" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 01.25 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

**მაესტრო**

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ქვესტის სამყარო" (ქუსტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 3.00 სერ. **"სხვისი სხეული"** 11.05 სერ. **"ქუზეი და გუნეი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05 სერ. **"დაკარგული დრო"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სამედიცინო "პულსი" 16.05, 1.30 სერ. **"ტატიანა"** 17.05, 2.15 სერ. **"სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. **"ნადირობა"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. **"ბანდიტების დედოფალი"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. **"ბელადის ვაჟი"**

## პარასკევი 4 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.30 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "დანიელ ბურენი გრან პალეში" 14.05 მხ/ფ **"ყოვლისშემძლე ევანი"** 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ქესლი"** 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 ტ/სერ. **"ბანქოს სახლი"** 22.00 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" – ნინო ზაუტაშვილთან ერთად 23.30 "კომუნიკატორი" 00.40 მხ/ფ **"შიში და სიძულვილი ლას ვეგასში"** (ჯ.დეპი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. **"რობინ ჰუდის თავგადასავალი"** 07.00 სერ. **"კარმა"** 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50, ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"გზაჯვარედინი"** 11.20 სერ. **"რჩეული"** 5 სერ. 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"დაკარგული წლები"** 18.45, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00 პოლიტიკა 23.30 სერ. **"ჟუმონგი"** 01.10 მხ/ფ **"მებრძოლები"** (უ.ფორსაიტი) 03.00 მხ/ფ **"ბრონქსის ისტორია"** (ჩ.პალმინტერი)

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 22.50 ქერის უბანი 23.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 11.25 სალბუნი-"ევთანაზია" 12.10 პორტრეტები 13.15 ბავშვები მუზეუმში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "მაგნოლია" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.30 მსოფლიო ხალხთა ზღაპრები "ჩიტბატონა" 15.40 დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე (ნანა ჩაჩუა) 16.10 დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 16.35 მიწათმოქმედი "ჯიშთა გამოცდა" 17.00 თვენი "ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქართული ხმები-სიღნაღი 20.00 თაობა ზეტი 2X6 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა ჭერემისა" I ფილმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თბილისის ტაძრები 00.35 დ/ფ 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

**მაესტრო**

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ქვესტის სამყარო" (ქუსტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 3.00 სერ. **"სხვისი სხეული"** 11.05 სერ. **"ქუზეი და გუნეი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 14.05 სერ. **"დაკარგული დრო"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 "თეკუნას კულინარიუმი" 16.05, 1.30 სერ. **"ტატიანა"** 17.05, 2.15 სერ. **"სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. **"ნადირობა"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. **"ბანდიტების დედოფალი"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. **"ბელადის ვაჟი"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## შაბათი 5 დეკემბერი

08.00, 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 01.30 "მოამბე" 08.10 ან/სერ. "ანიმალია" 09.30 მხ/ფ **"უფლისწული და მათხოვარი"** 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.15 ქართ. მხ/ფ **"ხევსურული ბალადა"** 14.05 **კალათბურთი**. სუპერლიგა: **"სოხუმი" – "რუსთავი"** 16.10 "ქართული დოკუმენტალისტიკა" – "მირიან მეფის სასწაულები" 17.00 "გურმანია" 17.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 18.00 "ფერმა" 18.30 კონცერტი: "გიო და ბიჭები" 20.30 "ხანმოკლე XX საუკუნე" 21.00 "ტრანსმისია" 21.30 "წითელი ზონა" 22.30 მხ/ფ **"გაიცანით ჯო ბლეკი"** (ბ.პიტი) 01.40 "ტელებლოგი" 02.10 "ხანმოკლე XX საუკუნე" 02.40 "გურმანია"

08.00, 10.10, 16.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 დოკ/ფ "დრაკონების მუზეუმი" 13.00 ტ/სერ. **"სად ხარ?!"** 15.00 დოკ/ფ "როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" 17.00 "უნივერსიტეტი" 18.00 დოკ/ფ "პირველი ეთიოპელი ქრისტიანი ბერების კვალდაკვალ" 19.00 "ეპიცენტრი" 20.00 "ჩვენი პარლამენტი" 20.30 მხ/ფ **"მერვე გვერდი"** 22.15 ტ/სერ. **"ანგელოზის სახე"** 23.15 მხ/ფ **"სინანული"**

07.00 სერ. **"რობინ ჰუდის თავგადასავალი"** 08.00 სერ. **"მერლინი"** 09.00 მხ/ფ **"სონედორი"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 იმედის გმირები 11.35 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 13.00 კულინარიული დუელი 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"დაკარგული წლები"** 18.45, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.00 ქრონიკის სტუდია 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00 სერ. "შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ" 23.00 სერ. **"ჟუმონგი"** 00.45 მხ/ფ **"ოლიმპოს დაცემა"** (ა.ეკჰარტი) 02.55 მხ/ფ **"მებრძოლები"**

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 კომედი შოუ 15.30 ნიჭიერი 18.30 იღბლიანი ბორბალი 19.30 გააცინე და მოიგე 21.00 კურიერი - გაბუნია 22.30 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.30 რა? სად? როდის? 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 ღვთის სახლი 06.40 თბილისის ტაძრები 06.50 ეპოქის სახელები 07.20 მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა ჭერემისა" I ფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.35 სიახლენი 10.35 დ/ფ "სუხიშვილები-რეპეტიციაზე" 10.50 კონცერტი 11.00 გამოყენებითი ხელოვნება 12.10 მხ/ფ **"ლესი"** 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 თაობა ზეტი 2X6 16.40 კვირიაკე 17.20 გაცოცხლებული წარსული 18.10 დ/ფ 18.35 საქართველოს სამართლის ისტორია 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დეკორატიული ფლორა 19.35 ქართული ალბომი 20.00 ქრისტიანული ხელოვნება "ბაზილიკა და მისი განვითარება საქართველოში" 20.50 სიბრძნისმეტყველება 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების სალონი 22.20 შუადღის სტუმარი 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი" 00.05 დროის ჩანაწერები 01.45 მხ/ფ **"გრაფ მონტე კრისტო"** III

**მაესტრო**

7.00, 10.00, 14.00, 18.00, 19.00, 23.30 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ქვესტის სამყარო" (ქუსტიკულაციით) 8.30 დოკ/სერ. "ბარტ ვულფი" 9.30 სერ. **"მონანიება"** 10.30 სამედიცინო "პულსი" 11.00 სერ. **"დამცინავი ლიმილი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30 "თეკუნას კულინარიუმი" 13.00, 15.30 სერ. **"დაკარგული დრო"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00, 2.00 სერ. **"ტატიანა"** 17.00, 2.50 სერ. **"სიყვარულის იმპერია"** 18.30 დოკ/სერ. "მსოფლიო საუკეთესო სახლები" 19.05 სერ. **"ნადირობა"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.40 სერ. **"ბანდიტების დედოფალი"** 21.30 თოქ-შოუ "SWAT-ანალიზი" 22.30 სერ. **"ბელადის ვაჟი"** 0.00 მხ/ფ **"ბე-13 რაიონი"**

## კვირა 6 დეკემბერი

08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.40 "მოამბე" 08.10 ან.ფ. "მეკობრეები" რომლებიც არაფერს არ აკეთებენ" 09.30 მხ/ფ "ფიფქია" 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.15 ქართ. მხ/ფ **"სხვისი შვილები"** 14.05 მხ/ფ **"ამერიკული ოცნება"** (ჰ.გრანტი) 16.10 "ვაშინგტონი დღეს" 16.30 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.00 "გურმანია" 17.30 "ხანმოკლე XX საუკუნე" 18.00 **ფეხბურთი**. **"დინამო" – "სიონი"** 20.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 21.10 "უცნობი მუსიკა" 22.40 მხ/ფ **"ბარტონ ფინკი"** (დრამა რეჟ: ჯ. კოენი) 00.50 მხ/ფ **"ამერიკელი განგსტერი"** (რ.ქროუ) 03.20 "ტელებლოგი"

08.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დოკ/ფ "პირველი ეთიოპელი ქრისტიანი ბერების კვალდაკვალ" 10.00 მხ/ფ **"რთული ბავშვი"** 11.30 დოკ/ფ "ნეაპოლი" 12.00 დოკ/ფ "გიიკების რევანში" 13.00 ტ/სერ. **"სად ხარ?!"** 15.00 მხ/ფ "ნათურებიანი მხედარი" (ჯ.ფონდა) 17.00 "აფხაზეთი" 18.00 მხ/ფ **"აეროპორტი 77"** (ჯ.ლემონი) 20.00 მხ/ფ **"მას სიკვდილი უხდება"** (მ. სტრიპი) 22.00 ტ/სერ. **"ანგელოზის სახე"** 23.00 "ნამდვილი დრო" – კვირის დაიჯესტი 23.30 მხ/ფ **"ცოფიანი ძაღლი და გლორი"** (უ.თურმანი)

07.00 სერ. **"რობინ ჰუდის თავგადასავალი"** 08.00 სერ. **"სინდბადი"** 1 სერ. 09.00 მხ/ფ **"ჯაშუში სამეზობლოში"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ" 4"** 13.00 სტუმრად იუმორინასთან 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 VOICE-საქართველო 19.30 რისკფაქტორი 20.30 ილო ბეროშვილის შოუ 21.30 ერთხელ საქართველოში 22.00 სერ. **"ჟუმონგი"** 23.45 მხ/ფ **"ჩამშვებები"** 01.45 მხ/ფ **"ოლიმპოს დაცემა"** (ა.ეკჰარტი) 03.40 ერთხელ საქართველოში

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია 09.30 ქ.მხ/ფ 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 13.30 იღბლიანი ბორბალი 14.30 ქერის უბანი 15.30 მარაო 18.30 ექიმები 20.00 კომედი შოუ 21.00 P.S. 23.00 განსხვავებული აქცენტები 23.30 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.20 დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.50 დ/ფ 07.30 მულტ.ფილმი "პრინცესა და მფრინავი რაშის საიდუმლო" 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ღვთის სახლი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 სიახლენი 10.25 ივერიის ეკლესია 10.40 შუადღის სტუმარი 11.20 სიბრძნისმეტყველება 11.30 ქართული ალბომი 12.15 მხ/ფ **"კატები და ძაღლები"** 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.15 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 მუს.პაუზა 15.55 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.40 ბავშვები მუზეუმში 18.30 დროის ჩანაწერები 19.20 მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** III სერ. 20.30 დ/ფ "XXსაუკუნის წმინდანები-გრიგოლ ფერაძე" 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სღვთისმეტყველო საუბარი "წმ.გრიგოლ ხანცდელი-დეკანოზი იოსებ ზეთეიშვილი" 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ **"გრაფ მონტე კრისტო"** IV

**მაესტრო**

7.00, 10.00, 14.00, 18.00, "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "თრონი" (ქუსტიკულაციით) 8.30 დოკ/სერ. "ბარტ ვულფი" 9.30 სერ. **"მონანიება"** 10.30 სამედიცინო "პულსი" 11.00 სერ. **"დამცინავი ლიმილი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30 "თეკუნას კულინარიუმი" 13.00, 15.30 სერ. **"დაკარგული დრო"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00, 2.00 სერ. **"ტატიანა"** 17.00, 3.00 სერ. **"სიყვარულის იმპერია"** 18.30 "მონიტორი" 19.00 სერ. **"ნადირობა"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.35 სერ. **"ბანდიტების დედოფალი"** 21.30 მინ/სერ. **"ქარბუქი"** 0.30 მხ/ფ **"ქარიშხლიანი უღელტეხილი"**

# რუსკა მაყაშვილი სანტას ეძებს



რუსთაველის თეატრის მსახიობი და ტელეწამყვანი, რუსკა მაყაშვილი, ყოველთვის აქტიური იყო, თუმცა ბოლო პერიოდში კიდევ უფრო გააქტიურდა. „ნიჭიერის“ ჟიურის წევრი მშობლიურ რუსთაველის თეატრშიც დაკავებულია და სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ ახალ სეზონშიც გამოჩნდა.

ამჯერად რუსკას ახალი თავსატეხი აქვს — ის სანტას ეძებს. ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, კვლავ გააქტიურდა რუსკას ფიფქიობა და სიახლეები სანტასთან ერთად, თუმცა წლების განმავლობაში მისი ერთგული ნარინჯისფერი სანტა პროექტიდან წავიდა და რუსკამაც ახალი სანტას ძებნა დაიწყო.

კონკურსი უკვე გამოცხადებულია. მასში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ რჩეული, ვინც სანტა გახდება, რუსკასთან პარტნიორობის გარდა, 50.000-ლარიანი ჯილდოს მფლობელიც გახდება.

ეკა ირემაშვილი

# რატომ აკრიტიკებენ მსახიობ ნინი ონიანს

ეკა ირემაშვილი



მსახიობი ნინი ონიანი სკანდალში ეხვევა. „კომედი შოუს“ მსახიობი, რომელმაც მას შემდეგ მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება, რაც გიორგი ვარდოსანიძესთან ერთად გამოჩნდა, კრიტიკოსების სამიზნე გახდა.

მსახიობს კარგა ხნის განმავლობაში ადანაშაულებდნენ გიორგი ვარდოსანიძისა და სალომე ჭაჭუას განშორებაში და ნინიც დიდხანს ჯიუტად ამტკიცებდა, მე არაფერ შუაში ვარო.

ნინი და გიორგი ერთად მონაწილეობენ კომედი არხის სერიალში „ქალთა სახეები“, რამაც მათი რომანის შესახებ ჭორების გავრცელება გამოიწვია. ხშირად დიდი სერიალის სცენებში გახდილია, რამაც მაყურებელი გააღიზიანა.

— გახდა ყველას შეუძლია. შენ, სხვებთან შედარებით, ვინც იხდის, ნახევარი არ ხარ და სხვები ყველა გაცნობილთან არ გორაობენ. მარტო გახდა არ არის. სხვაც უნდა გქონდეს მყარი მოსაჭიდი.

ცხვირსა და ყურებს მიხედე. კორექცია გჭირდება და მუხლის დაბლა ფეხი გაასწორე, აბაა. გიოსთვის მერამდენე იქნები?

ნინი ონიანმა უსამართლო კრიტიკას სოციალურ ქსელში საჯაროდ და შეძლებისდაგვარად კორექტულად უპასუხა:

— ეს მჭევრმეტყველი ადამიანი დამითაგეთ რა....?ისადა რომელი გიო გაინტერესებს მაინც კონკრეტულად? რამდენიმე გიო იყო ჩემს ცხოვრებაში, ეგეც დაწერე და გიპასუხებ ბარემ.

რაც შეეხება ჩემს ვიზუალს, ნუ რა გავაკეთო, ასეთი უშნო ვარ და პლასტიკური ქირურგიისკენ არ ვარ მიდრეკილი. მე მაპატიეთ ჩემი გარეგნობა და ასეთებს ღმერთმა გიშველოთ.

# სქურის ეკლესია რეაბილიტირებულია

სქურის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია დასრულებულია. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მდებარე ტაძარი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი რეაბილიტაცია ორ ეტაპად განხორციელდა და ამჟამად მას არანაირი საფრთხე აღარ ემუქრება.

სქურის დარბაზული ეკლესია X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი გამორჩეული ნიმუშია. ნაგებობის ცენტრალური დარბაზიდან შემორჩენილია თითქმის ყველა კონსტრუქციული კვანძი, რაც ძეგლის ავთენტურობასა და მის გამორჩეულობაზე მეტყველებს.

ზუგდიდ-ცაიშის ეპისკოპოსი მეუფე გერასიმე რეაბილიტირებულ ეკლესიას აკურთხებს და ჯვრის აღმართვის ცერემონიას ჩაატარებს.

ეკა ირემაშვილი

# გოგი ცაბაძის უცნობი სიმღერები მის იუბილეზე აჟღერდება

## კულტურის სამინისტრომ კომპოზიტორის საიუბილეო საღამოს დაფინანსებაზე უარი განაცხადა

30 ნოემბერს რუსთაველის თეატრში ცნობილი ქართველი კომპოზიტორის გოგი ცაბაძის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით საიუბილეო საღამო გაიმართება.

მართალია, კულტურის სამინისტრომ კომპოზიტორის შვილს, კახა ცაბაძეს, უარი უთხრა საიუბილეო ღონისძიების დაფინანსებაზე, მაგრამ გოგი ცაბაძის გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ მისი იუბილე მაინც აღინიშნება.

კომპოზიტორის იუბილეში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა მომღერლები და ძველი თაობის წარმომადგენლები. გიორგი მახარაშვილი, „ქართული ხმები“, ანსამბლი „ორერა“ გოგი ცაბაძის სიმღერებს შეასრულებენ.

კონცერტის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, საიუბილეო საღამოზე გოგი ცაბაძის უცნობ სიმღერებს ახალი თაობის მომღერლები იმღერებენ, ძველებს კი — ქართული ესტრადის უკვე ცნობილი წარმომადგენლები.

ეკა ირემაშვილი

# ასტროპროგნოზი

## 28 ნოემბრისთვის



**ვერძი** — ერიდეთ შურიან ადამიანებს. ცხოვრებაში ცვლილებები შეიტანეთ, ოღონდ არ აჩქარდეთ. მოსალოდნელია ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა. **კურო** — დღეს ყველას სჭირდებით. ბედი გწყალობთ. გამახვილებული ინტუიცია სწორ გადაწყვეტილებას მიგაღებინებთ. გარისკვა რეკომენდებულია. **ტყუპები** — ახალი ნაცნობობა, სამოგზაუროდ წასვლა კეთილისმყოფელი იქნება. ბევრი რამ იცვლება. თქვენს კეთილგონიერებაზე სამსახურებრივი წინსვლაა დამოკიდებული. უფროსობასთან საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. **კირჩხიბი** — იაქტიურეთ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. **ლომი** — მძიმე დღეა. არაფერი გამოგდით. ნებისმიერი კომერციული აქტივობა ფინანსური კრახით დამთავრდება. მიზნის მიღწევაში თავქარიანობა და საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება შეგიშლით ხელს. **ქალწული** — დღის პირველი ნახევარი წარუმატებელია. ნურაფერს დაგეგმავთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. დაკმაყოფილდით იმით, რასაც ცხოვრება შემოგთავაზებთ. **სასწორი** — მშვიდი დღეა. ბიზნესში აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. მეგობრების რჩევები ყურად იღეთ. **ღრიანკალი** — კრიტიკული პერიოდი გაქვთ. საკუთარი მოვალეობები დიდი პასუხისმგებლობით შეასრულეთ. საშუალება გეძლევათ, პირადი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. **მშვილდოსანი** — შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. თქვენი მომხიბვლელობა ზენიტშია. დღეს შეგიძლიათ, თამამად განახორციელოთ ახალი იდეები. **თხის რქა** — ბევრი რამ იცვლება. თქვენს კეთილგონიერებაზე სამსახურებრივი წინსვლაა დამოკიდებული. უფროსობასთან საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. **მერწყული** — ნუ იჩქარებთ. ზედმეტი მიამიტობა და მიმნდობი ბუნება ზიანს მოგიტანთ. ერიდეთ მატყუარა ადამიანებს. ისწრაფეთ სრულყოფილებისკენ. **თევზები** — ფასეულობები გადააფასეთ. საკუთარი შეცდომები გააანალიზეთ და გამოასწორეთ. კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ მშვიდი და გულითადი საუბრის შედეგად მოხერხდება.

## 29 ნოემბრისთვის

**ვერძი** — დღეს, შესაძლოა, ძველი კონტაქტები აღადგინოთ. პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. ემოციების გამოვლენისგან თავი შეიკავეთ. **კურო** — მეგობრებთან შეხვედრა დიდ სიხარულს მოგანიჭებთ. კარგი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, ფიზიკური აქტივობისათვის. **ტყუპები** — ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, უმჯობესია, ძველი დაამთავროთ. დღეს დოკუმენტებთან ურთიერთობა სასურველი არ არის. **კირჩხიბი** — კრიტიკული დღეა. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბედი კვლავ გამოცდას გიწყობთ. თავი აარიდეთ კომერციულ საქმიანობას. გარშემომყოფებთან კამათი კატეგორიულად გეკრძალებათ. **ლომი** — პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი სავალალო იქნება. **ქალწული** — ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას მაქსიმალურად ყურადღებით იყავით. ნუ იაქტიურებთ. შორს გამგზავრება სასურველი არ არის. **სასწორი** — საკმაოდ დაძაბული დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება, ამიტომ პარტნიორთან ურთიერთობაში კონფლიქტია მოსალოდნელი. დღეს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ. **ღრიანკალი** — ილუზიებს ნუ აჰყვებით. ცრუ დაპირებებს არ ენდოთ და არც თქვენ დაჰპირდეთ ვინმეს რამე, თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ პირობას შეასრულებთ. **მშვილდოსანი** — დათრგუნეთ სიჯიუტე, რაც ძალიან გიშლით ხელს ცხოვრებაში. საღამოს სასიხარულო ინფორმაციას მიიღებთ. **თხის რქა** — პასიური და წინააღმდეგობრივი დღეა. მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. ვარსკვლავები ბიზნესის სფეროში აქტიურობას არ გირჩევენ. **მერწყული** — თუ აქტიურად დასვენება გადაწყვიტეთ, ნაცნობმეგობრებიც აიყოლიეთ. კარგად გაერთობით. წარმატება გელით სიყვარულში. **თევზები** — მშვიდად იმუშავეთ. შრომა დაგიფასდებათ. მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# სამგლოვიარო განცხადებები

## რუდოლფ მიხელსონი



უდიდესი დანაკლისი განიცადა საქართველოს სამეცნიერო ტექნიკურმა საზოგადოებამ. ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სამთო დარგის ღვაწლმოსილი სპეციალისტი, გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი რუდოლფ მიხელსონი.

მრავალმხრივი და ფართოა საკითხთა წრე, რომელთა შესწავლასა და განვითარებას ბატონმა რუდოლფმა მიუძღვნა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა — ეს არის საქართველოს სამთო მრეწველობის თანამედროვე ტექნიკური და ეკონომიკური პრობლემები. მისი ხელმძღვანელობით შემუშავებულია სამშენებლო ბლოკებისა და ფილების მოპოვების ახალი ტექნოლოგია, გამოკვლეულია საქართველოს სამთო საწარმოთა დაპროექტების მეთოდების სრულყოფის ამოცანები, ბურღვააფეთქებითი სამუშაოების უსაფრთხოების ამაღლების საკითხები. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ასაფეთქებელი მასალების კვლევაში, რომლებიც მზადდება უტილიზირებული საბრძოლო მასალების ბაზაზე. ავტორია 125-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 10 გამოგონებისა სამთო საქმის აქტუალურ საკითხებზე. იყო მრავალი საერთაშორისო და რესპუბლიკური კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე. რამაც მას საყოველთაო აღიარება მოუტანა სამეცნიერო წრეებში. 2010 წელს ბატონ რუდოლფს მიენიჭა ელიზბარ მინდელის სახელობის პრემია წლის საუკეთესო ნაშრომისათვის.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი პიროვნული თვისებები. ბატონი რუდოლფი იყო უაღრესად კეთილი, თბილი, კომუნიკაბელური პიროვნება, ხალასი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, მზრუნველი მეუღლე, მამა, ბაბუა. საქართველოს სამთო საზოგადოებამ დაკარგა მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ხოლო კოლეგებმა — უაღრესად კეთილშობილი ადამიანი და გამორჩეული მეგობარი.

რუდოლფ მიხელსონის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ქართველი სამთოელების, კოლეგებისა და ახლობლების გულებში.

გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი
საქართველოს სამთო ტექნიკური საზოგადოება

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. გამომწვარი თაბაშირი; 2. ქართველი მეცნიერი, გეოდეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში; 3. მხარე ავსტრიაში; 4. მინერალი, ნახევრად ძვირფასი ქვა; 5. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 11. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 12. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 14. სულიერი მოძღვარი, დამრიგებელი ინდოეთში; 16. მუსიკალური ფრაზის გამეორება სხვა ხმითა და სხვა ტონალობით; 17. ირანელი ჯარისკაცი; 19. გერმანელი მიკრობიოლოგი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიოლოგია-მედიცინის დარგში; 21. სასვენი ნიშანი გრამატიკაში; 22. მუზეუმი მადრიდში.

**თარაზულად:** 6. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 8. ამერიკელ მწერალ სამუელ კლემენსის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. დოლი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 10. პოეტური ქმნილება; 13. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 15. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ნაწილი; 18. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ორგანიზმი, ბაქტერია; 20. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 21. პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება; 23. ორკორპუსიანი გემი; 24. სამონასტრო კომპლექსი ადიგენის რაიონში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**თარაზულად**: 1. ჰიპოლოგია; 2. მორთული; 3. სინუსი; 4. კრიჟი; 5. ალიევი; 11. ხუცესი; 12. დალაქი; 14. მწდე; 16. ორაგული; 17. თარხანი; 19. ლექსიკა; 21. თქორი; 22. „ტოკაი“.

**თარაზულად**: 6. ტიბიკონი; 7. „გურიელი“; 8. ჟოკეი; 9. ალათაუ; 10. სესხი; 13. რიტმი; 15. როტვეილერი; 18. წირქოლი; 20. არვე; 21. თუნუქი; 23. დისლოკაცია; 24. „ნადური“.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ჭონა; 2. თაობა; 3. ხვიფლი; 5. ოდიში; 6. „საფერავი“; 8. სარწყუნისი; 10. აზურიტი; 12. კოსტავა; 14. „ალმაზა“; 15. ფინიკი; 16. პრესა.

**თარაზულად**: 1. ჭანეთი; 4. კოდექსი; 7. სტოუნი; 9. ლოგიკა; 11. პრიკაზი; 12. კაჭარავა; 13. არაქსი; 17. კელარი; 18. ეირე; 19. ზვიადაური; 20. პითაგორა.

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 ნოემბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3957 |
| ევრო | 2.5399 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.6096 |
| 100 რუსული რუბლი | 3.6453 |

## ამინდის პროგნოზი 28 ნოემბრისთვის




# მალე! მალე! მალე!

## „ახალ თაობასთან“ ერთად

მაია ბურჭულაძე

# აბუსერიძეების საგა

## ქართული დეტექტივის მე-12 ტომი






## კარლო ანჩელოტი რეალში დაბრუნებას არ გამორიცხავს

რეალის ყოფილი დამრიგებელი კარლო ანჩელოტი მომავალ სეზონში ფეხბურთში დაბრუნებას გეგმავს და, არ არის გამორიცხული, ის ისევ სამეფო გუნდში ვიხილოთ. ერთ-ერთ ინტერვიუში ანჩელოტიმ განაცხადა, რომ მას რეალი ძალიან უყვარს და ამ გუნდთან ბევრი კარგი მოგონება აკავშირებს.

– წლევანდელ სეზონში დავისვენებ, ხოლო მომავალ წელს ფეხბურთში დაბრუნებას ვაპირებ. ჯერჯერობით ნამდვილად არ ვიცი, რომელი გუნდის მწვრთნელი გავხდები, მაგრამ, თუ რეალი დამიძახებს, უარს არ ვეტყვი, რადგან ეს გუნდი ძალიან მიყვარს, – განაცხადა იტალიელმა სპეციალისტმა.

კარლო ანჩელოტი რეალს ორ სეზონის მანძილზე წვრთნიდა და ამ პერიოდში მან რეალს მეათე, საიუბილეო ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა.

## გვარდიოლა წელიწადში 24 მილიონ ევროს მიიღებს



მიუნხენის ბაიერნი ხოსეპ გვარდიოლასთვის ახალ ორწლიან კონტრაქტს ამზადებს, რომლის მიხედვითაც ესპანელი სპეციალისტი წელიწადში 24 მილიონ ევროს მიიღებს.

გვარდიოლას კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ბაიერნი მის გაშვებას არ აპირებს. ხოსეპ გვარდიოლა ბაიერნში 2013 წელს მივიდა და მიუნხენელებს გერმანიის ჩემპიონატი ორჯერ ზედიზედ მოაგებინა. მიუხედავად ამისა, ბაიერნის ბევრი გულშემატკივარი მისი მუშაობით მაინც უკმაყოფილოა, რადგან ჩემპიონთა ლიგაში ბაიერნი არ არის მოწოდების სიმაღლეზე. გერმანიაში წასვლამდე გვარდიოლა 4 სეზონის განმავლობაში ბარსელონის მთავარი მწვრთნელი იყო.



## ისკომ ნეიმარს ბოდიში მოუხადა

მადრიდის რეალის ფეხბურთელმა ისკომ, რომელიც ნეიმარის წინააღმდეგ უხეში თამაშის გამო მოედნიდან გააძევეს, ამ ინციდენტზე ისაუბრა და თქვა, რომ საქციელს ნანობს.

ისკოს თქმით, ასეთი შემთხვევა აღარ გამეორდება.

– ნამდვილად არ ვამაყობ იმით, რომ უხეშად ვეთამაშე ნეიმარს და მოედნიდან გამაძევეს. მინდა, მას ბოდიში მოვუხადო, რადგან ზოგადად უხეში თამაში არ მჩვევია. იმედი მაქვს, ასეთ რაღაცას მეორედ არასოდეს გავაკეთებ, – განაცხადა რეალის ფეხბურთელმა.

ისკომ ამ გაძევებისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

## გიორგი პაპუნაშვილი ვერდერის მთავარ გუნდში გადაიყვანეს



20 წლის გიორგი პაპუნაშვილი ბრემენის ვერდერის მთავარ გუნდში მოხვდა.

ვერდერის მთავარმა მწვრთნელმა ვიქტორ სკრიპნიკმა ჩათვალა, რომ პაპუნაშვილი უკვე მზად არის პირველ გუნდში სათამაშოდ.

ქართველი ფეხბურთელი ვერდერის მეორე გუნდის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო და თითქმის ყველა თამაშში გამოდიოდა მოედანზე. პაპუნაშვილი თბილისის დინამოს აღზრდილია და ვერდერს წლევანდელი სეზონის დასაწყისში შეუერთდა. ბრემენულ გუნდს არცთუ კარგი პერიოდი უდგას და ვერდერი ამჟამად გერმანიის ჩემპიონატში მე-14 პოზიციას იკავებს.



## ნიკა კვეკვესკირმა ტრავმა ჯერ ვერ მოიშუშა

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, ნიკა კვეკვესკირი, რომელიც ბაქოს ინტერში თამაშობს, ჯერ კიდევ ტრავმირებულია.

ნიკა დაახლოებით 10 დღეში განაახლებს ვარჯიშს, ხოლო მოედანზე მისი დაბრუნების თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

კვეკვესკირმა გიბრალტარისა და გერმანიის წინააღმდეგ ჩატარებულ საქართველოს ნაკრების თამაშებში კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ხოლო ნაკრების ნოემბრის ამხანაგური შეხვედრები ნიკამ ტრავმის გამო გამოტოვა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## მორიგი სალიცენზიო ქულები ჰიუსტონიდან



ჰიუსტონში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალოსნობაში საქართველოს ნაკრებმა კიდევ რამდენიმე სალიცენზიო ქულა მოიპოვა. ეს რამდენიმე მინიმუმ 8 ქულაა. ზუსტად იმიტომ ვერ ვამბობთ, რომ ერთ წონაში ყველა მონაწილე არ გამოსულა.

რაულ ცირეკიძემ (94) ჰიუსტონში 160 კილოგრამი აიტაცა და 196 აჰკრა, ორჭიდში კი 356 კილოგრამი დაუგროვდა და მე-20 ადგილზე დაასრულა გამოსვლა.

ქართველი სპორტსმენი ბ ჯგუფში გამოდიოდა და დასაწყისში გვარიანად ვანერვიულა, რადგან ატაცში თავიდან შეკვეთილი 160 კილოგრამი მხოლოდ მესამეზე ცდაზე დაძლია.

აკვრაში ჩვენებურმა უკეთ იასპარეზა. თავდაპირველად 191 კგ დაძლია, შემდეგ წონა 196-მდე გაზარდა და ისიც აჰკრა, მესამე ცდაზე შეკვეთილი 201 კგ კი გაუცუდდა.

მე-20 ადგილით ცირეკიძემ საქართველოს 6 ქულა მოუტანა.

კარგად გამოვიდა ჰიუსტონში 18 წლის გიორგი ჩხეიძე (105). ჩვენებური მესამე, ც ჯგუფში იყო განთესილი და მისგან სალიცენზიო ქულების მოპოვება რთული ჩანდა. ჩხეიძემ 168 კგ აიტაცა, 207 კგ აჰკრა და ჯამში 375 კილოგრამით დაამთავრა ტურნირი. ჩხეიძეს, მინიმუმ, 2 სარეიტინგო ქულა ნაკრებისთვის გარანტირებული აქვს.

ამავე წონაში გამოცდილმა გია მაჭავარიანმა 355 ქულით დაასრულა გამოსვლა (165+190).

## საშობაო სეზონის ჰიტად მოციმციმე წვერები იქცა



საშობაო სეზონის ახალ ჰიტად მოციმციმე წვერები იქცა. ახალი ტრენდით დაინტერესდნენ არა მხოლოდ მამაკაცები, არამედ ქალბატონებიც, რომლებიც მას ნიკაპზე იკეთებენ.

– აუცილებელი არ არის, წვერი გქონდეს ან ბიჭი იყო მის სატარებლად, – წერს ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთი.

– მხოლოდ ერთი პრობლემაა, თავიდან ვერ მოგვიშორებია აზრი, რომ ის მეტად არაპრაქტიკულია, – წერს გაზეთი და მისი ტარების მსურველებს აფრთხილებს, რომ ეს ციმციმა წვერი 20 დღის გასვლის შემდეგაც რჩება სახეზე. გარდა ამისა, მოციმციმე წვერით საკვების მიღება მეტად მოუხერხებელია, ვინაიდან მისი ნაწილი აუცილებლად მოხვდება პირში.

სამაგალითოდ გაზეთს ყველაზე კაშკაშა წვერის მაგალითები აქვს მოტანილი და იმ დასკვნამდე მიდის, რომ, როგორც ჩანს, ბევრისთვის „რაც მეტია სიკაშკაშე, მით უკეთესია“.

## იუმორი



●●●

კაცს ქალს ურიგებენ. მან კარგად აათვალჩაათვალიერა და ეკითხება:

– ელამი ხარ?

– ჰო, ჩოტათი.

– ლაპარაკიც გიჭირს?

– ჰო, ჩოტათი.

– შენ, მგონი, ქალიშვილიც არ იქნები.

– ჰო, ეგ შამი ნაკლი მაქვს.

●●●

აფთიაქარს კლიენტი ეკითხება:

– უკაცრავად, ულვაშებიანი პრეზერვატივი გაქვთ?

– დიახ, მაგრამ დღეს სამსახურში არ გამოსულა.

●●●

ბავშვმა ზოოპარკში ფარშევანგი დაინახა და დედას ეუბნება:

– დედა, ნახე, ქათამი აყვავდა.

●●●

ხიდან ჩამოვარდნილ ოსს ექიმი სინჯავს.

– ხელები მთელია... ფეხებიც... აბა, თავი ვნახოთ...

– თავი მთელია, ექიმო?

– არა, თავი გატეხილი გაქვს.

– ტვინი ხომ არ გადმოსულა, ექიმო?

– დაკეტე პირი, ტვინი რომ გქონოდა, ხეზე კი არ ახვიდოდი.

●●●

ენაბლუ სახაშეში მებუფეტეს მიმართავს:

– ხა... ხა... ხაში გააქვთ?

– ხახაში დედაშენს აქვს! – უპასუხა მებუფეტემ.

●●●

გოგონა ბიჭს ეუბნება:

– ბოდიში, მაგრამ ქორწილამდე ლოგინში ვერ ჩაგიწვები.

– ბოდიში, მაგრამ შენს ლოგინში ჩასაწვენად ქორწილის გადახდას არ ვაპირებ, – უპასუხა ბიჭმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## „ჩემი ცოლის დაქალები“ იუბილარია




ეკა ირემაშვილი

ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ქართული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ იუბილარია. მისი ეთერში გასვლიდან 4 წელი შესრულდა. სერიალის შემქმნელებმა ეს საიუბილეო თარიღი, რა თქმა უნდა, ერთად აღნიშნეს.

4 წლის განმავლობაში სერიალმა არაერთი ცვლილება განიცადა. იცვლებოდნენ როგორც პერსონაჟები, ასევე მსახიობები.

„ჩემი ცოლის დაქალები“ ფორმულა კრეატივის შექმნილი სატირულ-იუმორისტული ჟანრის ქართული სერიალია, რომელიც 2011 წლიდან ყოველ შაბათ-კვირას გადის რუსთავი 2-ზე.

სერიალი აღწერს ერთმანეთისგან განსხვავებული ბავშვობის მეგობრების, ფემინისტი თინას, ქარაფშუტა კატოსა და დიასახლისი ნინას ცხოვრებას, რომელთაც მესამე და მეხუთე სეზონებში შეუერთდათ ახალი დაქალები ნატაშკა და ანკა.

„ჩემი ცოლის დაქალები“ ეხება ქართველი საზოგადოებისთვის აქტუალურ თანამედროვე სოციალურ პრობლემებსა და საკითხებს, რომლებიც ყველა თაობის მაყურებლისთვის არის საინტერესო.

იუბილარმა სერიალმა თავის ერთგულ მაყურებელს ერთი სიახლე შესთავაზა. „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტებმა და პროდიუსერებმა ნელიკოს რესტორანი რეალურ ცხოვრებაშიც გახსნეს. ამიერიდან საბურთალოზე, ყაზბეგის ორ ნომერში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მისვლა და სერიალის კაფეს მონახულება.

„ნელიკოსთან“ – ასე უწოდეს კაფეს სერიალის შემქმნელებმა და გრანდიოზული პრეზენტაციაც გამართეს.

**გიორგი ლიფონავა,** სერიალის რეჟისორი:

– პროდიუსერმა და სცენარისტმა ამ კაფეს გახსნა ჯერ კიდევ ზაფხულში მოიფიქრეს.

ჩანაფიქრის განხორციელება მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი. „ნელიკოსთან“ – ასე ეწოდება კაფეს, სადაც ყველას შეუძლია მოსვლა. აქ ძალიან კარგი გარემოა, მთავარია, გემრიელი იყოს ყველაფერი, თორემ ერთგული მაყურებელი რომ ამ კაფეში ივლის, ეჭვიც არ მეპარება.

**ქეთი დევდარიანი,** სერიალის სცენარისტი:

– სერიალიდან რეალურ მდგომარეობაში პირველად ჯგუფი „გამოუვალი მდგომარეობა“ გადმოვიყვანეთ, რომელმაც მართლა ჩაატარა კონცერტები და სრული ანშლაგებითაც. მეორე ეს შემთხვევაა, როცა სერიალში გვქონდა კაფე და რეალურ ცხოვრებაშიც გავხსენით. როცა კაფეებში ვიღებდით სერიებს, ხშირად გვეკითხებოდნენ მაყურებლები, მართლა დადიოდნენ თუ არა კაფეში გოგონები. აქედან გაჩნდა იდეა და მიხარია, რომ მისი განხორციელება შევძელით.